# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 20 ოქტომბერი 2008 №242 (3466) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუს-თავში ხელი წაიშინეს

## ვიტ ჯორჯიამ ზესტაფონიც გადააგორა

გუშინწინ და გუშინ საქართველოს ჩემპიონატ-ის უმაღლესი ლიგის მეექვსე ტური ჩატარდა.

არ იყო წასაგები თამაშიო — თქვა „ვიტ ჯორჯ-იასთან“ მარცხით დაღონებულმა ზესტაფონელ-თა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ. ვიტელებმა კი ბოლოსკენ გატანილი ორი გოლით ლიდერობა შეინარჩუნეს.

„ოლიმპის“ მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა კი დაიჩივლა, არ გადის ეს გოლი და რა ვქნათ, აღარ ვიცითო. რუსთაველები სეზონის წინ ტრანსფე-რებით ხმაურობდნენ და როგორც ჩანს, სულ ტყუილად. ჩემპიონობას ეშურებოდნენ და ცხრი-ლის ფსკერზე კი დგანან.

მესხელთა მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა „დინამოსთან“ წაგების მერე თითი მსაჯებისკენ გაიშვირა. იქამდე კი ახალციხელმა მაყურებელ-მა რამდენჯერმე მოინდომა მოედანზე შეჭრა.

„გაგრას“ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს კი არა-ფერი უთქვამს: „სპარტაკთან“ საშინაო მარცხის მერე პრესკონფერენციაზე საერთოდ არ მივიდა.



ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი თვალსასეირო თამაში გამოდგა



# 0:19 – ვინ მოხსნის რეკორდს?

საკალათბურთო სუპერლიგაში პირველი ტური ჩატარდა

6



# ცქიტიშვილი მადრიდს თბილისში ელოდება

ქართველმა ფორვარდმა კლუბი იპოვა

6




# ფუტსალის ტეტრაკამპეონები

ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონია

11



# გიორგი დარასელიამ მათეუსს გადაასწრო

## ირაკლი გეფერიძე: ჰაიფას ჰაპოელის ქართველი

ისრაელის ჩემპიონატს ჰაიფას „მაკაბი“ ლიდერობს, რომლის მთავარ მწვრთნელ ელიშა ლევის თანაშემწე ქართველი გიორგი დარასელია გახლავთ. ეს კაცი უნდა გახსოვდეთ: წლების მანძილზე სხვადასხვა ქართულ კლუბში თამაშობდა და ყველგან გამორჩეული გახლდათ.

„ძუკუს“ (ასე ეძახდნენ დარასელიას) საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია.

შარშან ლევი-დარასელიას დუეტი ისრაელის ასევე უმაღლესლიგელ ბნეი საჰინის „ჰაპოელს“ წვრთნიდა და გასულ ტურში „მაკაბიმ“ სწორედ ამ გუნდს სძლია (2:0), რითაც ლოთარ მათეუსის „მაკაბი ნეთანიას“ ქულებით გაუთანაბრდა და ბურთების შეფარდებით გაუსწრო.

რადგან ისრაელს ვეხებით, ისიც ვთქვათ, რომ იქაურ ლიმიტ-ლიგაში (რანგით მეორე) ქართველი ირაკლი გეფარიძე თამაშობს — ჰაიფას „ჰაპოელის“ 11 ნომერია.

გეფერიძემ წინა ტურში გოლიც გაიტანა.

ამ ბიჭზე ადრეც ვწერდით: ირაკლი საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია, შემდეგ მისი ოჯახი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად და ისიც რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ჭაბუკად ითვლებოდა, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში აქვს ნათამაშევი.

რაც შეეხება კლუბებს, გეფერიძე „სატურნში“ და მოსკოვის „ტორპედოში“ ირიცხებოდა.

ირაკლი ამჟამად 21 წლისაა. მასთან ადრე ინტერვიუც გავაკეთეთ და გვითხრა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი აქვს.

ისიც საინტერესოა, რომ ჰაიფას „ჰაპოელში“ გეფერიძეს ეროვნებად ქართველი უწერია...

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

### პირველი ლიგა — I წრე. 8 ტური

**თბილისი 0:3 ამერი**

0:1 ქებაძე (7), 0:2 ბოჯგუა (37), 0:3 ლაფერაშვილი (88)

თბილისი: ხარშილაძე, სარაჯიშვილი, მიქელაძე (ოდიშარია 28), დ. ამისულაშვილი, ბელქანია, ზვიადაძე, ი. მოდებაძე (გურეშიძე 67), ხოხონიშვილი, ჯაში (კბილცეცხლაშვილი 50), ტორონჯაძე, სებისკვერაძე

სათადარიგონი: გიორგობიანი, ჭაფოძე, აფხაზავა, სულუხია

მწვრთნელი: გელა გომელაური

ამერი: ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ცხოვრებაშვილი, ლ. ბოჯგუა (ბენდელიანი 75), ტიკურიშვილი (გ. ჯელაძე 81), ქებაძე (ლაფერაშვილი 72), ჩიმაკაძე

სათადარიგონი: გვენცაძე, ბუმბეიშვილი, გ. ხელაძე, ფუტკარაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჯაში, ელბაქიძე, ბოჯგუა, ცხოვრებაშვილი

მსაჯი: ხ. გაგნიძე

100 მაყურებელი

**ჩიხურა 2:1 დილა**
**ჰერეთი 1:1 კახეთი**
**ვიტ ჯორჯია 2 5:0 სიონი 2**
**თბილისი 0:3 ამერი**
**ნორჩი დინამო 2:2 გაგრა 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 8 | 5 | 2 | 1 | 20:7 | 17 |
| ამერი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:2 | 15 |
| დინამო 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 13:6 | 13 |
| სიონი 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:21 | 8 |
| თბილისი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| ნორჩი დინამო | 7 | 1 | 2 | 4 | 10:15 | 5 |
| გაგრა 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| ჰერეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | 5 |
| კახეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:13 | 4 |

**ბათუმი 4:1 მეშახტე**
**მერანი (მ) 1:0 კოლხეთი**
**ზესტაფონი 2 4:1 გურია**
**ხობი 1:0 ჭიათურა**

20 ოქტომბერი

**ბაია — სამტრედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 8 | 5 | 1 | 2 | 16:5 | 16 |
| კოლხეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 16 |
| მერანი (მ) | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 14 |
| ბაია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| ხობი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| ზესტაფონი 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| გურია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| ბათუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 8 |
| ტორპედო 2008 | 7 | 1 | 1 | 5 | 1:6 | 4 |
| მეშახტე | 7 | 0 | 1 | 6 | 4:17 | 1 |

## ქართველები უცხოეთში

# ჩემპიონი მენთეშაშვილი და სხვა ქართველობა

ორ ბობოლა ჩემპიონატში, ინგლისურ პრემიერლიგასა და იტალიურ სერია A-ში, განვლილმა ტურმა ქართველების გარეშე ჩაიარა.

„იტალიელებს“ — ლევან მჭედლიძესა და კახა კალაძეს თუ ტრავმები აწუხებდათ, ზურაბ ხიზანიშვილი საღ-სალამათი იყო, თუმც „ბლექბერნის“ თავკაცი პოლ ინსი რომ არ ენდობა, არახალია. „ხიზანას“ გუნდმა „ბოლტონთან“ სტუმრად 0:0 თამაშა.

რუსეთის პრემიერლიგაში ჩემპიონობას უფრო მიუახლოვდა ყაზანის „რუბინი“, რომელმაც „შინიკს“ სტუმრად 2:0 სძლია. დავით კვირკველია გამოჯანმრთელდა და ამ მატჩშიც სრულად ითამაშა, ლაშა სალუქვაძე კი კოჭის ტრავმის გამო განაცხადშიც არ ყოფილა.

მესამე ქართველ რუბინელს, ნუკრი რევიშვილს სათადარიგოთა სკამზე მოუწია ჯდომამ.

ნალჩიკის „სპარტაკმა“ წლეულს „ზენიტს“ სტუმრად 4:3 სძლია და მაშინ გადამწყვეტი გოლი ალეკო ამისულაშვილმა გაიტანა. ამ გუნდების ყაბარდოულ შეხვედრაში კი 2:2 აღინიშნა — ამისულაშვილი მცირე ტრავმის გამო არ გამოჩენილა, გოგიტა გოგუამ სრულად ითამაშა, დავით სირაძემ კი ბოლო 8 წუთი დაჰყო მოედანზე.

ნალჩიკელთა პირველი გოლი გოგუას ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, ხოლო სირაძემ მეორე გატანილში მიიღო მონაწილეობა.

პრემიერლიგიდან გავარდნის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგიამ“ შინ 0:0 ითამაშა „ტომთან“. გვაზავა შეუცვლელად იყო მინდორზე, თუმც ჩვეულად აქტიურად ვერ ითამაშა.

ავსტრიაში გიორგი შაშიაშვილი-ილია კანდელაკის „შტურმმა“ სტუმრად „მატერსბურგთან“ 6:5 იმარჯვა. ასეთი მატჩები მართლაც რომ იშვიათია: ჩვენების გუნდი პირველი ტაიმის მერე 5:0 იგებდა, მერე 5:3 გახდა, რის შემდეგაც „შტურმმა“ მეექვსე გაიტანა და დარჩენილ დროში „მატერსბურგმა“ კინაღამ გაათანაბრა.

ამ ჰოკეისანგარიშიან შეხვედრაში შაშიაშვილმაც და კანდელაკმაც სრულად ითამაშეს, ილიამ ყვითელი ბარათიც მიიღო.

ჰო, „შტურმი“ მე-4 ადგილზეა, მაგრამ ლიდერს ოდნავ ჩამორჩება.

სლოვაკეთში ირაკლი ლილუაშვილმა „ნიტრას“ შემადგენლობაში 77 წუთი ითამაშა, მისიანებმა კი 0:1 დათმეს „დუნაისკა სტრედასთან“.

გერმანულ ბუნდესლიგაში „კარლსრუემ“ ცხრილში დამეზობლებ-




ულ „ბაიერნთან“ დასანანად წააგო. ალექსანდრე იაშვილმა 85 წუთი ითამაშა, საკმაოდ აქტიურიც გახლდათ და მისი შეცვლიდან რამდენიმე წამში მიუნხენელმა მიროსლავ კლოზემ გადამწყვეტი გოლი შეაგდო — 0:1.

„შალკეში“ არც ლევან კობიაშვილი გამოჩენილა და არც ლევან ყენია.

მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“-მა შინ „ფიურტს“ 3:1 სძლია, თუმც მიკროტრავმიანმა ქართველმა მატჩს სათადარიგოებიდან უყურა.

„ფრაიბურგში“ დავით თარგამაძე განაცხადშიც არ ყოფილა, „ფრაიმ“ 0:2 დათმო სტუმრად „ნიურნბერგთან“.

ასევე უთამაშებელი დარჩა „აუგსბურგის“ ოთარ ხიზანეიშვილი, მისიანებმა კი 3:2 მოუგეს „ზანკტ პაულის“.

უკრაინაში კიევის „დინამომ“ 5:0 გადაურბინა გიორგი ციმაკურიძის „ზარიას“. მე-18 წუთზე უკვე 4:0(!) იყო. ამ სეირნობაში კიეველთა ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი შეუცვლელი გახლდათ, ციმაკურიძე კი 73 წუთი გაისარჯა.

ასათიანს ნამატჩევს ბლიც-ინტერვიუც ჩამოართვეს..,

— დღეს სწრაფი გოლები გავიტანეთ, რამაც საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშის საშუალება მოგვცა. რა თქმა უნდა, შედეგით ყველანი კმაყოფილები ვართ.

— რამდენად ადვილი იყო 4:0-ის შემდეგ დაცვაში კონცენტრაციის შენარჩუნება?

— ამხელა უპირატესობის შემდეგ ცოტა მოვეშვით. თავადაც ნახეთ, მეორე ტაიმში „ზარიას“ რამდენიმე მომენტი ჰქონდა.

— მაინც რის ხარჯზე მოიგეთ ასე შთამბეჭდავად? რაც უნდა იყოს, „ზარიამ“ ამ სეზონში ქულების უმეტესობა გასვლით მატჩებში აიღო...

— დღეს თითოეულ ფეხბურთელს, უბრალოდ, გიჟური განწყობა გვქონდა. სწრაფი გოლებიც შეგვეშველა.

— ესე იგი, „პორტუსთან“ სათამაშოდ მშვენიერ განწყობაზე მიდიხართ?

— ძალიან. იმედია, პორტუდან დაბრუნებისასაც კარგ განწყობაზე ვიქნებით.

„კარპატიმ“ სტუმრად 4:1 აჯობა „ტავრიას“. ლვოველთაგან სანდრო გურული ძირითადში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე ცოტა ხნით ადრე კი მასპინძელთა შორის ვასილ გიგიაძე შევიდა შეცვლაზე. „ტავრიას“ მეორე ქართველი ლადო ბურდული სათადარიგოებში იყო.

გურულსა და გიგიაძეს დიდად ალსანიშნავი არაფერი გაუკეთებიათ.

კახა მჟავანაძე ბოლო 19 წუთით შეუშვეს მინდორზე. მისმა „ჩერნომორეცმა“ 0:1 დათმო „ილიჩევეცთან“.

ზურაბ მენთეშაშვილი კი ლატვიის ჩემპიონია! „ვენტსპილსმა“ რიგაში „სკონტოსთან“ 2:2 ითამაშა და მართალია, წინ კიდევ ოთხი ტურია, ველარავინ დაეწევა. რიგელები ორჯერ იგებდნენ, თანაც, ანგარიში დავით გამეზარდაშვილმა გახსნა, თუმც ბოლო წუთზე გამეზარდაშვილმა წითელი ბარათი მიიღო, ამას „სკონტოს“ კარში დანიშნული პენალტიც მოჰყვა და 2:2.

რიგელთა შორის ვლადიმერ დვალიშვილს არ უთამაშია. მენთეშაშვილმა კი 90 წუთი გაატარა მინდორზე.

სხვათა შორის, „მენთეშა“ და „ვენტსპილსი“ შარშანაც ჩემპიონები გახდნენ, რასაც ქვეყნის და ასევე ბალტიის თასები მიამატეს.

ჩეხეთში „ბოლესლავს“ ვერავინ აჩერებს. გიორგი გაჩეჩილაძის გუნდმა ამჯერად „ტეპლიცე“ დასცა 3:2 და ჩემპიონობისთვის იბრძოვის, თუმც „განუს“ წვლილი კვლავაც არაფერია: სათადარიგოებშიც არ გახლდათ.

რევაზ გეწაძემ აზერბაიჯანში გაიტანა: ბაქოს „ოლიმპიკის“ ახალწვეულმა „გაბალასთან“ მე-3 წუთზე საჯარიმოთი შეაგდო და ეს ერთადერთი გოლი აღმოჩნდა მატჩში. გეწაძემ მოგვიანებით ხარიხასაც მოარტყა ბურთი.

კახა ცხადაძემ „ბაკისთან“ მატჩამდე ისაუბრა, ჩემი „სტანდარდი“ ყველანაირად მზადაა მოსაგებადო, თუმც 0:2 წააგო. ცხადაძის გუნდს ერთი გოლი ამირან მუჯირმა გაუტანა.

ყაზახეთში ლაშა ჭელიძის „ქაისარმა“ სტუმრად 2:0 აჯობა „ორდაბასს“. ჩვენიანმა სრულად ითამაშა. „ქაისარი“ მეოთხე ადგილზეა.

**ილია ნანობაშვილი**

# გასაკვირია: რახიმოვს უკვირს

მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავკაც რაშიდ რახიმოვს გაუკვირდა, როცა მისი ყოფილი ფეხბურთელის, მალხაზ ასათიანის ინტერვიუ წაიკითხა — ქართველმა ფეხბურთელმა უკრაინელ ჟურნალისტებს უთხრა, რახიმოვი თავის გამოჩენის შანსს არ მაძლევდაო...

„ასათიანმა თქვა, რომ რახიმოვმა ერთი შანსიც არ მისცა. გასაკვირია, რადგან ბოლოსდაბოლოს ოქმები არსებობს. ის ძალიან კარგი მცველია, ჭკვიანი და შეტევის დაწყებისას ზუსტი პასის გაკეთებაც შეუძლია. გასულ ზამთარს, ჩემს გუნდში ლიდერად ითვლებოდა, თუმცა მოსამზადებელ პერიოდში, ტრავმებმა ფორმის აღდგენაში ხელი შეუშალა. თითქმის ზაფხულის ბოლომდე ველოდი, რომ ასათიანი კონდიციებს აღიდგენდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როდესაც სერბი ბაშა შევიძინეთ, მან გუნდიდან წასვლა თავად მთხოვა“ — განაცხადა რახიმოვმა.

ისე, რახიმოვი მართლა ცოცხალი თავით არ ათამაშებდა ასათიანს და საინტერესოა, რატომ გაუკვირდა ასე მისი ნათქვამი...

**კახა შალამბერიძე**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 6 ტური

გორი. 18 ოქტომბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე. 500 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 2:1 ზესტაფონი

0:1 გელაშვილი (20), 1:1 მელქაძე (75), 2:1 ვ. კვარაცხელია (82)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე, რაზმაძე (დ. მაისაშვილი 73), კვალინიძე (ხურცილავა 60), კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი (ვ. კვარაცხელია 40), ლიპარტია სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე, გ. ჯანელიძე, ბერიაშვილი მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ფრიდოლინი, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, რ. ონიანი (ნ. კვასხვაძე 84), დაუშვილი, ძარია. გ. ხიდეშელი, ბენაშვილი (ვიეირა 80), ჩასიმი (ბექა გოცირიძე 66), გელაშვილი სათადარიგონი: გ. ჭანტურია, შ. ღონღაძე, სანტოსი, სტეფანიშვილი მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ბეჭვაია (45), კვახაძე (51), ძარია (53), ლიპარტია (62), გელაშვილი (78)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ბ. ჭიჭინაძე, ა. კოკაია, ა. ნონიკაშვილი



# ვიტ-ვიტ-ვიტ!

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**ჩემპიონატის** ლიდერისა და ერთ-ერთი ფავორიტის მატჩს მშვენიერი ამინდი დაედარა.

მეტოქეებმა თამაში ფრთხილად დაიწყეს და თავიდან მოვლენები ძირითადად მოედნის ცენტრში ვითარდებოდა.

კარში პირველი დარტყმა მე-6 წუთზე ნიკა გელაშვილმა შეასრულა საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ არაზუსტად.

მე-18 წუთზე ირაკლი კლიმიაშვილმა გაამწვავა სიტუაცია ძლიერი დარტყმით, რომელიც როინ კვასხვაძემ კუთხურზე მოიგერია.

თანდათან გუნდებმა ტემპს მოუმატეს და თამაშიც უფრო საინტერესო გახდა. ანგარიში კი მოულოდნელად და მარტივად გაიხსნა — მე-20 წუთზე სტუმრებმა საკუთარი ნახევრიდან ბურთი მარჯვენა ფლანგზე გაგზავნეს, ვიტჯორჯიელმა ლაშა ჯაფარიძემ თავით ცუდად მოიგერია, მას დაეუფლა ალექსი ბენაშვილი, ზუსტად ჩააწოდა საჯარიმოში შეჭრილმა გელაშვილმა თავურით აიღო თავის ყოფილ თანაგუნდელთა კარი — 0:1.

მატჩი ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა და ტაიმის ბოლოს შეიძლებოდა, ანგარიში რამდენჯერმე შეცვლილიყო.

36-ე წუთზე კლიმიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი როინ კვასხვაძემ ცუდად მოიგერია და იქვე მყოფმა ვასილ ლუჭაშვილმა ახლოდან გადააცილა კარს.

ტაიმის ბოლო წუთზე სტუმრებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს. ბენაშვილმა გაიყვანა გარღვევაზე გიორგი ხიდეშელი, რომელიც სწრაფად შეიჭრა თბილისელთა საჯარიმოში, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს.

მეორე ნახევარი „ვიტ ჯორჯიას“ შეტევებით განახლდა. უნდა აღინიშნოს, რომ შესვენების შემდეგ თბილისელებმა აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე და მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ შემოატრიალეს. განსაკუთრებით გიორგი მელქაძე გამოირჩეოდა — დაუღალავად და ნაყოფიერად მოქმედებდა თავისი გუნდის ყველა შეტევის დროს.

50-ე წუთზე „ზესტაფონი“ დაჯარიმდა. ჯაფარიძემ ყველასთვის მოულოდნელად, ჩაწოდების მაგივრად ბურთი საჯარიმო მოედანში მელქაძეს დაუგორა, რომელმაც შეუჩერებლად დაარტყა მეტოქის კარში, მაგრამ კვასხვაძემ ნახტომში მოახერხა ბურთის მოგერიება.

ვიტელთა შეტევებს „ზესტაფონი“ კონტრშეტევებით პასუხობდა. 72-ე წუთზე კვლავ ბენაშვილმა იაქტიურა, თუმცა მისი შორეული დარტყმა ოდნავ ასცდა თბილისელთა კარს.

ანგარიში კი ისევე მოულოდნელად გათანაბრდა, როგორც გაიხსნა — ზესტაფონელებმა მინდვრის შუაგულში დაკარგეს ბურთი, რომელსაც მელქაძე დაეუფლა, ცოტათი წინ წაიწია და დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა კარში. კვასხვაძე ამ დროს ოდნავ წინ იყო კარიდან გამოსული და მხოლოდ თვალიღა მიაყოლა, თუ როგორ ჩაეშვა ბურთი მისი კარის შორეულ კუთხეში — 1:1.

გატანილმა გოლმა თითქოს ფრთები შეასხა თბილისელებს და მორიგი ჯარიმის გათამაშებისას მათ კვლავ აიღეს სტუმართა კარი, ოღონდ მანამდე გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა...

ხუთ წუთში მელქაძემ ისევ ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, არეულობაში გიგა ბეჭვაიას შეექმნა მომენტი, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

82-ე წუთზე თბილისელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს და დაწინაურდნენ. იმავ მელქაძემ ზუსტად ჩაუწოდა სტუმართა საჯარიმოში ვახტანგ კვარაცხელიას, რომელმაც თავური დარტყმით ანგარიში 2:1 გახადა.

85-ე წუთზე კლიმიაშვილს შესაძლოა შეეძლო სტუმართა კარის აღება, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა ხარიხამ მოიგერია...

„ვიტჯორჯიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა და კვლავ ლიდერობს ჩემპიონატს.

## პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. გულდაწყვეტილი ვარ — არ იყო წასაგები თამაში. სხვას ვერაფერს ვიტყვი.

*ნესტორ მუმლაძე:* საინტერესო თამაში გამოვიდა. „ზესტაფონი“ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია ჩემპიონატში და ამ მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ. პირველ ნახევარში გვაჯობეს, მეორეში კი ძალები მოვიკრიბეთ და მატჩი შემოვატრიალეთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| მგლები | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | -12 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:7 | 9 |
| ზესტაფონი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| გაგრა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| ბორჯომი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| მესხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ოლიმპი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |



ასეთი მომენტები მეორე ტაიმში „ზესტაფონის“ კართან მრავლად იყო

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 6 ტური


გიორგი ლომაია და ლევან ცქიტიშვილი

# ლოკომოტივმა მგლები ბორჯომში მოინელა

ბექან ჩხეიძე ბორჯომიდან

ბორჯომი. 18 ოქტომბერი. 15 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

### ბორჯომი 0:2 ლოკომოტივი

| 0:1 ალექსიძე (60); 0:2 ცქიტიშვილი (61) | |
|---|---|
| **ბორჯომი:** შეყრილაძე, ვაჩიბერიძე (იაკობიძე 65), ლაცაბიძე, ქარქუზაშვილი, გ. ხორგუაშვილი (ნ. ლომიძე 71), ნოზაძე (ავალიანი 83), ლ. ვაშაკიძე, ქავთარაძე, ალავერდაშვილი, ბეჟანიძე, კიკნაძე *სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, პ. ხორგუაშვილი **მწვრთნელი:** გიორგი სუხიაშვილი | **ლოკომოტივი:** გ. ლომაია, კახელიშვილი, გუშარაშვილი (ლ. გრიგალაშვილი 71), ფარულავა, სარალიძე (დ. ფოფხაძე 46), ზ. ჩხეტიანი (კ. მახარაძე 77), სამხარაძე, ცქიტიშვილი, ჩირიკაშვილი, ვ. დარასელია, ალექსიძე *სათადარიგონი:* ბათიაშვილი, კაჭახიძე, ი. გილაური, ბებუა **მწვრთნელი:** ზ. ზამთარაძე |
| **გაფრთხილება:** ჩხეტიანი (43) | |
| **მსაჯები:** ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, გ. ვადაჭკორია | |
| **დამკვირვებელი:** ო. გუნთაძე, **დელეგატი:** მ. ნორაკიძე | |

ამ მატჩში მონაწილე გუნდები სხვადასხვა განწყობით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს — ბოლო ტურში „ბორჯომმა" სამი ქულა მოიპოვა სტუმრად „სპარტაკთან", ხოლო სტუმრები მოულოდნელად შინ დამარცხდნენ „მგლებთან".

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და მე-2 წუთზე ირაკლი კიკნაძის აქტიურობას კუთხური მოჰყვა. ლაშა ვაშაკიძის ჩაწოდებულს გიორგი ალავერდაშვილმა დაუხვედრა თავი და ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მე-6 წუთზე მარჯვენა ფრთიდან გენო ბეჟანიძემ ჩააწოდა საჯარიმოში და გიორგი ლომაიამ განმუხტა მდგომარეობა, მე-9 წუთზე კი კიკნაძემ საჯარიმოში მიიღო ბურთი, კარში დარტყმას ლამობდა, მაგრამ ლომაიამ ჩაუშალა ჩანაფიქრი.

სტუმრებმა პირველი სახიფათო მომენტი მე-18 წუთზე შექმნეს. ვიტალი დარასელიამ მოედნის ცენტრიდან განახორციელა დრიბლინგი. გზად რამდენიმე მცველი მოატყუა, კარგადაც უპასა რატი ალექსიძეს, რომლის დარტყმაც უხეირო გამოდგა.

21-ე წუთზე ისევ სტუმრებმა იაქტიურეს. ზვიად ჩხეტიანმა საჯარიმოსთან დაუგორა ბურთი დარასელიას, რომელმაც ოდნავ ააცილა კარს.

27-ე წუთზე მასპინძელთა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა — ვიტალი დარასელიას ეშმაკური დარტყმა მეკარემ ბრწყინვალე ნახტომში უკუაგდო.

ამის შემდეგ ტემპი ოდნავ დაეცა. ასე გაგრძელდა 37-ე წუთამდე, სანამ ალავერდაშვილმა მარჯვენა ფრთაზე ფინტების კასკადით ჩამოიშორა რამდენიმე მცველი, საჯარიმოში ჩაწოდებულს კი ბეჟანიძე ურტყამდა ვარდნაში — ბურთი სანტიმეტრით ასცდა მიზანს.

39-ე წუთზე ჩხეტიანის აქტიურობას დარასელია გამოეხმაურა. მისი დარტყმულიც უშედეგო გამოდგა.

43-ე წუთზე სამხარაძე-ჩირიკაშვილის კომბინაცია გააგრძელა ცქიტიშვილმა, რასაც კახელიშვილის სახიფათო დარტყმა მოჰყვა — ბექა შეყრილაძემ იყოჩაღა.

ტაიმის ბოლო წუთზე ვაშაკიძემ კარგად ჩააწოდა, მცველები ცდილობდნენ ბურთის გამოტანას და ნოზაძემ შეუჩერებლად გაგზავნა კარში — ლომაიამ ბურთი მოიგერია. სანამ მცველები დაბნეულნი იყვნენ, კიკნაძემ ლამაზად გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ ზემოდან გადააცილა კარს.

მეორე ნახევარიც აქტიურად დაიწყეს გუნდებმა.

48-ე წუთზე მასპინძლებს კონტრშეტევა გაეპარათ, შეყრილაძესთან პირისპირ გასვლას ორი თბილისელი ლამობდა და მცველებმა დიდი გაჭირვებით განმუხტეს ხიფათი.

თბილისელებმა ტემპს უმატეს და ალექსიძეს გაჰყავდა მეკარესთან პირისპირ ცქიტიშვილი, მაგრამ შეყრილაძე მიუხვდა ჩანაფიქრს.

იქვე ქავთარაძემ მოსინჯა ლომაიას საიმედოობა.

ამ წუთიდან „ლოკომოტივმა" ცენტრში დაალაგა თამაში და შედეგმაც არ დააყოვნა.

მე-60 წუთზე დარასელიას ჩაწოდებულ ბურთზე უწყინარ სიტუაციაში შეცდა გივი ქარქუზაშვილი, ფეხი დაუცდა და მეკარის წინ ეულად დარჩენილ ალექსიძეს აღარ გასჭირვებია გატანა — 1:0.

წუთის შემდეგ მარცხენა ფრთაზე კარგად გაისარჯა ირაკლი სამხარაძე. საჯარიმოში შესულმა მოხდენილად უპასა ცქიტიშვილს და მანაც ანგარიშში სხვაობა გააორმაგა — 2:0.

ამის შემდეგ „ლოკომოტივმა" თამაში თავის სასურველ რელსებზე გადაიტანა, ზურგი კარგად ჰქონდა გამაგრებული და კონტრშეტევებსაც არ ერიდებოდა.

მასპინძლები ცდილობდნენ მატჩის გამწვავებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

83-ე წუთზე ბორჯომელი კიკნაძე საჯარიმოში წაიქცა თუ წააქციეს. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა მათ თხოვნას ყური არ უგდო.

წუთში სამხარაძემ მარჯვენა ფრთაზე გაინავარდა, საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს დარასელია ურტყამდა, მაგრამ უზუსტოდ.

ბოლო წუთებზე ორჯერ ზედიზედ ალავერდაშვილმა გაისროლა კარში, მაგრამ ლომაიას ვერაფერი მოუხერხა, მერე კი დარასელიას ჩაწოდებულზე ალექსიძემ თავურით ხარიხას გაარტყა ბურთი.

#### პრესკონფერენცია

*ზაზა ზამთარაძე:* საკმაოდ რთული თამაში იყო, ადვილს არც ველოდი. გადამწყვეტი როლი გამოცდილი ფეხბურთელების ოსტატობამ შეასრულა. მადლობას ვუხდი ბიჭებს თავდადებისთვის.

*გიორგი სუხიაშვილი:* პირველ ტაიმში გვქონდა რამდენიმე მომენტი, მერე კი ამოქმედდა დაუწერელი კანონი — ვერ გაიტან, გაგიტანენ. დავეთანხმები კოლეგას, რომ მოგებაში გამოცდილმა ფეხბურთელებმა მთავარი სიტყვა თქვეს. ვულოცავ მეტოქეს დამსახურებულ გამარჯვებას.

# ვისიც გადის, გაატარეთ!

ზუგდიდი. 19 ოქტომბერი. 14 საათი. მ. თუთბერიძე. 400 მაყურებელი

### მგლები 3:1 ოლიმპი

| 1:0, 2:0 თოდუა (47, 73), 2:1 ჩიკვილაძე (89), 3:1 ლომია (90) | |
|---|---|
| **მგლები:** მამალაძე, აქუბარდია, ჭითანავა, ხუხია, ჯიშკარიანი (ა. ბაჯელიძე 46), გულორდავა, ქუცურუა (დარსანია 61), გურუა (კ. გოგოხია 88), გ. თოდუა, ლომია, ჯოჯუა *სათადარიგონი:* ქალდანი, ხურციძე, ჭოხონელიძე, გულუა **მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია | **ოლიმპი:** მერლანი, გ. ონიანი, დობროვოლსკი, მაჭავარიანი (ჩიკვილაძე 55), თ. ღონღაძე (მიკუჩაძე 57), გ. ჩხეტიანი, გ. სეთურიძე, გაბიდაური (ბაბუნაშვილი 75), ფეიქრიშვილი, ფიფია, მეგრელაძე *სათადარიგო:* სტურუა **მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი |
| **გაფრთხილება:** გურუა (45), დობროვოლსკი (72), მერლანი (73), აქუბარდია (90) | |
| **მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ნ. რუსიშვილი | |
| **დამკვირვებელი:** თ. კოსტავა | |

სოსო გულუა ზუგდიდიდან

**ზუგდიდში** გადაუღებლად წვიმდა და ამან მინდვრის საფარზეც იმოქმედა — ფეხბურთელებს გადაადგილება უძნელდებოდათ. მიუხედავად, ასეთი მდგომარეობისა, მოედანზე 90 წუთი ფიცხელი ბრძოლა იყო გაჩაღებული.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, „ოლიმპი" სამეგრელოში უეჭველი სამი ქულის წამოსაღებად ჩავიდა, თუმცა „მგლები" მათაც მგლურად დაუხვდა.

პირველი საგოლე შანსი მე-14 წუთზე გია თოდუას ჰქონდა, მაგრამ მირზა მერლანმა მისი დარტყმული ნახტომში მოიგერია.

მალევე უპასუხეს რუსთაველებმა — გიორგი ფეიქრიშვილმა შორიდან ძლიერად ამოსცხო, ზურაბ მამალაძემ უხერხულად მოიგერია, გიორგი მეგრელაძემ დაამატა, თუმცა „მგლების" მეკარეს ვერ აჯობა.

სტუმრები უფრო მეტად აკონტროლებდნენ ტალახიან მოედანზე ბურთს, თუმცა სახეიროს ვერაფერს ქმნიდნენ.

მეორე ტაიმი ხვიჩა ქასრაშვილის შეგირდებისთვის ცუდად დაიწყო — არჩილ ბაჯელიძემ გრძელი გადაცემით მეკარეს შეატოვა თოდუა და მან მარცხენა ფეხით მაღალ კუთხეში გაუტანა მერლანს — 1:0.

„ოლიმპი" შეტევაში წავიდა, ძირითადად მაღალი ჩაწოდებებით ცდილობდნენ ხეირის ნახვას, მაგრამ მამალაძე ირჯებოდა საიმედოდ.

73-ე წუთზე კი ვალტერ გურუას მარჯვენიდან ჩაწოდებულს წაჰკრა თავი თოდუამ და დუბლიც გაიფორმა — 2:0.

ეს რუსთაველთათვის კატასტროფა იყო.

„ოლიმპი" უკვე მოგებაზე აღარ ფიქრობდა, ფრეზეც ყაბულს იყო.

გიორგი სეთურიძის მარჯვენიდან ჩაწოდებულს შეცვლაზე შესული თენგიზ ჩიკვილაძემ შეაგება თავი, ბურთი აქუბარდიას შეეხო და ისე აღმოჩნდა მამალაძის კარში — 2:1.

მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, თუმცა სხვაგვარად ფიქრობდნენ „მგლების" ფეხბურთელები. მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიურმა გიორგი გულორდავამ და მატჩის მიწურულს საგოლე გადაცემა მიითვალა და ყველაფერი აქ დამთავრდა — გულორდავა მარჯვენა ფრთაზე კოხტად გასცდა ჩიკვილაძე-ფეიქრიშვილს და საჯარიმოში ლომიას მიაწოდა, რომელმაც ერთი შეხებით გაიტანა — 3:1.

#### პრესკონფერენცია

*ხვიჩა ქასრაშვილი:* არ გადის ეს გოლი და რა ვქნათ, აღარ ვიცით. გასული სეზონის ბოლოს, ზედიზედ მოგებულ 7 თამაშში ერთად რომ მომენტები გვქონდა, თითქმის იმდენი შევქმენით დღესაც. მაგრამ არ გვიმართლებს.

*ბესიკ შეროზია:* მეტოქეს სწორი ტაქტიკით ვაჯობეთ. ჩვენზე კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდისთვის რაღაც ისეთი უნდა დაგვეპირისპირებინა, რაც უპირატესობას მოგვცემდა. ვცდილობდით, პრესინგი გვეთამაშა, როგორც ამის საშუალებას მოედნის საფარი მოგვცემდა. ცენტრში ბურთი დიდხანს არ დაგვეყოვნებინა და ნახეთ, პირველი გოლი სწორედ ასეთი კომბინაციას მოჰყვა. მოკლედ, ისეთი თამაში იყო, ვინც პირველი გოლის გატანას დაასწრებდა, ის მოიგებდა. კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების გარჯით და შევეცდები, თავი მომავალშიც არ შევირცხვინოთ.

# უსიამოვნო ამბავი

**გუშინ** ზუგდიდის „მგლებისა" და რუსთავის „ოლიმპის" შეხვედრის მსაჯები ლევან ფანიაშვილი, ლევან მიქელაძე და გურამ ჩიგოგიძე უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ ზუგდიდამდე ჩასვლა ვერ მოახერხეს — გზაში ავარია მოუვიდათ.

საბედნიეროდ, შემთხვევა უმსხვერპლოდ დასრულდა, თუმცა ფანიაშვილს და მიქელაძეს დაზიანებები აქვთ, შედარებით მსუბუქადაა ჩიგოგიძე.

ამჟამად მსაჯები „ზესტაფონის" საავადმყოფოში იმყოფებიან და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ნუკრი ლოლაძე

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 6 ტური



ბუბაჯ ღოლელაშვილის ფოტო

ცხინვალელთა პირველ საამსეზონო მოგებას საფუძველი კობა შალამბერიძემ (№20) ჩაუყარა

# ახალი თავები და პირველი მოგება

ნუკრი ლოლაძე

თბილისი. 18 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი. 500 მაყურებელი

## გაგრა 0:2 სპარტაკი

| | |
|---|---|
| 0:1 შალამბერიძე (54), 0:2 სირბილაძე (78) | |
| გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, ა. ტეტუნაშვილი (კვანტალიანი 80), ზ. დათუნაშვილი (ძაგანია 62), ცხადაია (ფილია 34), ჩარგეიშვილი, გაბედავა, შარიქაძე, ზ. მეტრეველი. *სათადარიგონი:* ნაჭყებია, ლალიანი, ხოკერაშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | სპარტაკი: ქვილითაია, კუპრეიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, გ. ნადირაშვილი, მამუკაშვილი, თ. შონია, ჯანგიძე (მაისურაძე 76), შალამბერიძე, გ. ხიდეშელი (ბონდო გოცირიძე 67), სირბილაძე, მ. ლონლაძე (ქორიძე 62). *სათადარიგონი:* გ. იაშვილი, თექთუმანიძე, ლ. დათუნაშვილი, ოსეფაშვილი. მწვრთნელი: სერგო გაბელაია |
| გაფრთხილება: ქაჯაია (31), დათუნაშვილი (81), კვანტალიანი (90), სირბილაძე (90) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ლ. კვარაცხელია | |
| დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დელეგატი: შ. ბაქრაძე | |

„გაგრას" უმაღლეს ლიგაში დებიუტი ხმაურიანი გამოუვიდა — „ამერის" სარბიელზე პირველივე ტურში ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო" წააქცია, მერე ზუგდიდის „მგლებსაც" მოუგო და „სიონთანაც" არ წააგო.

ამ მატჩების შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე ერთობ ენაწყლიანობდა, თუმცა გუშინწინ წაგებით გაწბილებულმა პრესკონფერენციაზე მოსვლა აღარ იკადრა.

იმედი გვაქვს, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებს.

მოგეხსენებათ, რომ კობა ჟორჟიკაშვილმა ცხინვალის „სპარტაკი" დატოვა და გუნდი მწვრთნელთა ტანდემს — ვაჟა ტოგონიძეს და სერგო გაბელაიას ჩააბარეს. მათაც მშვენიერი დებიუტი გამოუვიდათ: აქამდე უქულო ცხინვალელებმა პირველი მოგებით გაიხარეს გლდანში. თანაც ამას აშკარად იმსახურებდნენ.

დაძაბული თამაში გამოვიდა და ვერც იმას იტყოდა კაცი, მოსაწყენი იყოო. გუნდებმა 90 წუთი ბრძოლაში გაატარეს.

საწყის წუთებში ოდნავ უკეთესად სტუმრები გამოიყურებოდნენ. მე-9 წუთზე თემურ შონიამ კობა შალამბერიძეს გადააწოდა ბურთი მარჯვენა ფლანგზე, მან საჯარიმოში შეაღწია და კარშიც დაარტყა, მაგრამ სუსტად.

მე-15 წუთზე ზამირა დათუნაშვილმა რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და კარში დაარტყა, თუმცა არაზუსტად. მალევე იმავ დათუნაშვილმა იაქტიურა, მარჯვენა ფრთაზე კოხტად მოიცილა მცველი და საჯარიმოში გამჭოლი გადაცემაც გააკეთა, მაგრამ სტუმართა მეკარე მაქსიმე ქვილითაია გაისარჯა საიმედოდ და მდგომარეობა განმუხტა.

26-ე წუთზე კი მატჩის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო — შალამბერიძემ მარჯვნიდან ჩააწოდა საჯარიმოში, მამუკა ლონლაძემ ბურთი რბილად მიიღო, კოხტად შემოტრიალდა და კარისკენ დაარტყა. „გაგრა" ხარიხამ გადაარჩინა.

„სპარტაკმა" 32-ე წუთზე კიდევ ერთხელ შეაზანზარა ძელი. ეს თემურ შონიამ გააკეთა. დამატებაზე ლონლაძემ ივარგა და გაიტანა, თუმცა თამაშგარის გამო გოლი არ ჩაითვალა.

ტაიმის ბოლო წუთები გაგრელებმა ჩაატარეს აქტიურად — ჯერ შარიქაძეს მიეცა თავისუფალი სივრცე და უკეთ გარჯა მართებდა, კარში კი დაარტყა, მაგრამ ქვილითაიას აღება არ გასჭირვებია.

მერე კი გიორგი გაბედავამ საჯარიმო დაარტყა, მასპინძლებმა გოლიც იზეიმეს, თუმცა სინამდვილეში ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

54-ე წუთზე „სპარტაკმა" უყურადღებობა არ აპატია მეტოქეს. აკაკი კუპრეიშვილმა სწრაფად ჩააწოდა აუტი შალამბერიძის მისამართით, ისიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და გატანა აღარ გასჭირვებია — 0:1.

ხაჩიძის შეგირდები კი ცდილობდნენ, მაგრამ მწვავე შეტევები არ გამოსდიოდათ, „სპარტაკმა" კი 78-ე წუთზე მეორე გოლის გატანაც მოახერხა. ბონდო გოცირიძემ მარჯვნიდან ჩააწოდა, ირაკლი სირბილაძემ მცველს და მეკარეს მოუგო საჰაერო ბრძოლა და 0:2.

ამის შემდეგ მთელი გუნდით უტევდნენ მასპინძლები. 83-ე წუთზე თამაზ ჩარგეიშვილის შორიდან გასროლილი ლამაზი ნახტომით მოიგერია ქვილითაიამ და დებიუტანტებს ის მეტად აღარც შეუწუხებიათ...

ბორჯომი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

## მესხეთი 1:3 დინამო

| | |
|---|---|
| 0:1 ოდიკაძე (26პ), 0:2 თომაშვილი (33), 0:3 ვაწაძე (42), 1:3 სუდაძე (90) | |
| მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი, ინასარიძე (სუდაძე 52), გონჩაროვი, თაყაძე, სამადაშვილი, თედიაშვილი, ლ. ახალაია (ყურულაშვილი 75). *სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, კობესაშვილი, მურმანიშვილი, ქოჩორაშვილი. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია (შ. კაშია 76), კრშკო, ელიავა, ოდიკაძე, დილმელაშვილი, ნერგაძე, გველესიანი (ნ. ჯიშკარიანი 88), გ. მერებაშვილი (ფირცხალავა 86), ვაწაძე. *სათადარიგონი:* ლორია, ინწკირველი, სპასოევიჩი, ჟიუსი. მწვრთნელი: რაინერ ცობელი |
| გაფრთხილება: ახალაია (45), თომაშვილი (87) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ი. უკლება, მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე | |
| დამკვირვებელი: მ. ჭელიძე; დელეგატი: დ. გვარამაძე | |

# შეწყვეტილი თამაში და ტრიბუნიდან მოედნისკენ

ბექან ჩხეიძე ბორჯომიდან

**მატჩის** ინტრიგას ზრდიდა ის, გააგრძელებდნენ თუ არა ახალციხელები წარმატებულ სვლას და „დინამო" მოიპოვებდა თუ არა პირველ გამარჯვებას სტუმრად.

საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, შემდეგ „დინამომ" მოუმატა ტემპს და უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ სტუმართა გამარჯვებაში ეჭვიც არ შეგეპარებოდა.

მე-5 წუთზე დავით დილმელაშვილმა მოედნის ცენტრიდან წაიღო ბურთი, საჯარიმომდე არმისულმა დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და სანტიმეტრებით აცილა კარს. წუთში კი დავით ოდიკაძემ დაარტყა ჯარიმა და გიორგი სომხიშვილს ბურთი აღება არ გასჭირვებია.

მალევე ზაალ ელიავა ჩაერთო შეტევაში და მარჯვენა ფრთიდან მისი დარტყმული სომხიშვილმა გაჭირვებით მოიგერია.

გულხელდაკრეფილნი არც მასპინძლები იყვნენ — მე-15 წუთზე ლადო ახალაიას ჩაწოდებულ ბურთს გურამ სამადაშვილმა დაარტყა შეუჩერებლად, მცველებმა გამოიტანეს. დამატებაზე ლევან თედიაშვილი ცდილობდა შეტევის დაგვირგვინებას, მაგრამ ბურთი დიდი მანძილით გადასცდა დინამოელთა კარს.

24-ე წუთზე მათე ვაწაძის აქტიურობას კარგად გამოხმაურა ოლეგ გველესიანი, თუმცა მან ხელსაყრელი სიტუაციიდან სასწაულებრივად გააცუდა მომენტი. ორ წუთში კი „დინამოს" კონტრშეტევა გაეპარათ მასპინძლებს — საჯარიმოში შეჭრილი გიორგი მერებაშვილი მცველ გიორგი მემარნიშვილთან შეჯახებისას წაიქცა და მსაჯმა პენალტის ნიშნულზე მიუთითა.

ოდიკაძეს დარტყმის კუთხე კი გამოუცნო სომხიშვილმა, მაგრამ გუნდი ვეღარ გადაარჩინა — 0:1.

ამის შემდეგ მაყურებელთა აგრესიამ იმატა, ისინი მოედანზე ცდილობდნენ გადასვლას. ადგილობრივი სამართალდამცავები ცდილობდნენ მათ დაწყნარებას, მაგრამ ეს ამბავი დაახლოებით 8 წუთი გაგრძელდა და თამაშიც შეჩერდა.

მატჩი ახალგანახლებული იყო, როცა დავით ინასარიძემ მოსინჯა დიდიე ოვონოს საიმედოობა.

33-ე წუთზე ოდიკაძემ მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა, საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს კი თავდასხმელთა დასახმარებლად ჩასული გულვერდ თომაშვილი გამოეხმაურა და ახლო მანძილიდან არ გასჭირვებია გატანა.

ამ ეპიზოდში სომხიშვილმა ვერ მოთოკა ნერვები — ცდილობდა, გვერდითი მსაჯი დაერწმუნებინა, რომ ბურთი თამაშგარედან გავიდა.

ეს იყო და, ისევ გაბრაზებულმა მაყურებელმა სცადა მოედანზე გადასვლა. „მესხეთის" პრეზიდენტი გია მესხელი ფეხბურთელების მოედნიდან გაყვანასაც აპირებდა და ამ ინციდენტმა კიდევ 5 წუთი „შეიწირა".

როგორც იქნა, ისევ განახლდა თამაში და ტრიბუნაზე დაძაბულობამაც ისევ იმატა.

დინამოელები კი აგრძელებდნენ აქტიურ თამაშს და 42-ე წუთზე გიორგი ნერგაძემ მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქ კი ვაწაძეს გატანა არ გაჭირვებია — 3:0.

მეორე ტაიმი საკმაოდ მშვიდად დაიწყო. უტყობოდა, დინამოელები არ ცდილობდნენ ვითარების გამწვავებას. ალბათ მაყურებელთა მხრიდან მორიგ აგრესიას ერიდებოდნენ...

ასე გავიდა დრო და ბოლოს, მსაჯის დამატებულ წუთებზე გელა სუდაძემ მოახერხა ახლო მანძილიდან ანგარიშის შემცირება — 1:3.

მატჩის დამთავრებისთანავე მაყურებელთა რისხვა დაატყდათ თავს გასახდელისკენ წასულ მსაჯებს და სტუმარ ფეხბურთელებს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

### პრესკონფერენცია

*რაინერ ცობელი:* ჩემს გუნდს კომპლიმენტს ვეუბნები. ისინი ბრწყინვალედ თამაშობდნენ და სამი გოლიც ამის დასტურია. მინდოდა, ჩემს ფეხბურთელებს ისევე ეთამაშათ მეორე ტაიმში, როგორც პირველში ითამაშეს. მაგრამ ნახევარდაცვამ უკან დაიწია და ცდილობდნენ, სიტუაცია არ დაძაბულიყო.

*კობა თედიაშვილი:* გუნდი ფიზიკურად სუსტად გამოიყურებოდა. თავი იჩინა სეზონის წინ ჩავდებულმა მოსამზადებელმა პერიოდმა, რაც მხოლოდ ოთხ თამაშზე გვეყო. უკმაყოფილო ვარ არბიტრით, მან თავისი გასაკეთებელი პირველ ტაიმში გააკეთა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი
### სუპერლიგა. I ტური

# 0:19 — ვინ მოხსნის რეკორდს?


ავია — ნტდ. დებიუტანტმა ქართული კალათბურთის ლიდერთაგანი წააქცია

**მაკაბი 43:63 შსს**
**12:16 18:8 0:19 13:23**

**მაკაბი:** გ. პატარაია (2), კილაძე, ჯიქია, ანთაძე (9), ლონდარიძე (8), იოსელიანი (10), ჩლაიძე, ელიკაშვილი (1), ბიბილური (8), სუდაძე (5), ივანეიშვილი, მჭედლიშვილი
**შსს:** ცხვედიანი (2), მიქაბერიძე, კორძაძე, ნოზაძე (2), ნინუა (12), შ. პატარაია (6), გოლეთიანი (8), ფაიქრიძე (10), გურგენიძე (2), აბულაძე (15), ბაქრაძე, ბერია (6)
*მსაჯები:* მ. კუპატაძე, ხ. გებადავა
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**თსუ 113:72 დინამო**
**36:14 27:24 25:18 25:16**

**თსუ:** დ. ბერიშვილი (16), გაფრინდაშვილი (14), გ. ბარბაქაძე (15), შანიძე (6), გ. მარკოიშვილი (19), ყველაშვილი (2), ხეცურიანი (17), ახალკაცი (4), დ. ბარბაქაძე (14), დეკანოიძე (6)
**დინამო:** ბაქრაძე (11), ნანიტაშვილი (4), სორდია, ლაფანაშვილი (10), სიგუა (6), დოლიძე (2), ბოლქვაძე, კორკოტაძე (15), ქადარაია (8), ხანიაშვილი, კობიძე (2), ხიზანიშვილი (14)
*მსაჯები:* ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი
*კომისარი:* როლანდ გელოვანი

**თბილავიამშენი 72:77 ნტდ**
**23:21 27:24 14:12 8:20**

**თბილავიამშენი:** ბერაია (11), ი. ბერიშვილი (15), კვიმსაძე (4), ნინიაშვილი (10), ნაცვლიშვილი (7), პირველაშვილი (4), ს. შერმადინი (12), ა. ბოისა (9)
**ნტდ-თბილისი:** ჩიტაშვილი (17), ფაშაევი (19), სარიევი (20), ნიფტალიევი (7), გლოველი, როდუმტა (2), კეიდია, კოლუაშვილი, ბაკშიევი (5), სუხიშვილი (7)
*მსაჯები:* დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე
*კომისარი:* მურმან ქურიძე

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი. არცთუ მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ზედიზედ სამი შეხვედრა იხილა: „მაკაბი“ — შსს, თსუ — დინამო და თბილავიამშენი — ნტდ. თუმცა რეალურად ეს სეზონი პარასკევს რუსთავში „ენერჯი-ინვესტისა“ და „სასოფლოს“ მატჩით გაიხსნა, რომელშიც მასპინძლებმა იმარჯვეს.

დაიწყო ჩემპიონატი და გაჩნდა პრეტენზიებიც. „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილი მსაჯებს პირველ დღესვე შემოსწყრა და ზაზა მაჩალაძე განზრახ დაჩაგვრაში დაადანაშაულა. ისე, ფაქტია, რომ პირველი ტაიმის, უფრო კი პირველი მეოთხედის გადამწყვეტ მომენტებში მსაჯი გაცილებით ხშირად აჯარიმებდა „დინამოს“, მაშინ, როცა 20 წუთის მერე თსუ-ს მხოლოდ ოთხ მოთამაშეს ჰქონდა პერსონალური ჯარიმა. სწორედ ამაზე მიუთითებდა შეხვედრის კომისარს ზაზა ცაგარეიშვილი.

ესეც სათქმელია: არ გვგონია, თსუ-ელებს ეს შეხვედრა მსაჯების „დახმარების“ გარეშეც ვერ მოეგოთ, საკმაოდ კარგად მისდიოდათ თამაში.

ექსმა კალათბურთელმა 14-ზე მეტი ქულა დააგროვა. დავით ბერიშვილმა (16 ქულა, 11 პასი) და დავით ბარბაქაძემ (14 ქულა, 10 მოხსნა) ორმაგი დუბლით გამოიჩინეს თავი. მატჩს განსაკუთრებული ხიბლი გიგი ბარბაქაძის, დათოს უმცროსი ძმის, ზემოდან ეფექტურმა გდებებმა შესძინა. ძალიან სასარგებლო იყო მანუჩარ მარკოიშვილიც. ის ყველაზე შედეგიანი გახდა 19 ქულით, ამას კი 8 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემაც დაამატა.

ამ თამაშამდე იყო დღის პირველი შეხვედრა, „მაკაბისა“ და შსს-ს შორის. ჩემპიონატის დებიუტანტმა „ძალოვნებმა“, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელთან ერთად ვეტერან მოთამაშეებიც ირჯებიან, ჯამლეტ ხუციშვილის გუნდი დაამარცხეს. ამ შეხვედრაში ერთი ძალიან ღირსშესანიშნავი და ალბათ ჩემპიონატის სარეკორდო ფაქტი დაფიქსირდა. ორი მეოთხედის შემდეგ შსს 24:30 აგებდა. დაიწყო მესამე მეოთხედი და „ძალოვნებმა“ უპასუხო 19 ქულა ჩაუგდეს მეტოქეს, რის შედეგადაც მეოთხედი 19:0 მოიგეს. თუმც მაკაბელების მშრალი სერია ამით არ დასრულდა, მეოთხე მეოთხედის მესამე წუთი მიდიოდა, როდესაც ზურა გილაურმა 12-წუთიანი შესვენების შემდეგ თანაგუნდელთაგან პირველმა ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში.

გამარჯვებული შსს-დან ყველაზე გამორჩეული ვეტერანი ივანე აბულაძე გახლდათ — 15 ქულა და 16 მოხსნა.

პირველი ტურის ცენტრალური მატჩი თბილავიამშენი — ნტდ იყო. თამაშმა იმედი სრულად გაამართლა, ძალიან საინტერესო და უაღრესად დაძაბული გამოდგა.

საწყისი მეოთხედის პირველ წუთებში „ნტდ-თბილისი“ 13:7 დაწინაურდა, შემდეგ კი ნელ-ნელა დათმო უპირატესობა და ამის მერე წინ სულ „ავიატორები“ იყვნენ. ისინი კარგადაც ირჯებოდნენ და ჩანდა, რომ შეხვედრას გამარჯვებამდე მიიყვანდნენ, მაგრამ მეოთხე მეოთხედში მოედანზე სხვა ნტდ დადგა.

ჯერ იყო და, ნუგზარ კანდელაკის შეგირდებმა 62:68-ზე ზედიზედ ჩაგდებული ორი სამიანით ანგარიში გაათანაბრეს. ეს მოხდა მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე. შემდეგ ვატო ნაცვლიშვილმა 2-იანით ისევ „ავია“ დააწინაურა, თუმც შემდეგ ჯერ პაშაევმა ჩაუშვა ორიანი, ამას დაცვაში კარგი თამაში და შემდეგ როდუმტას ორი ზუსტი საჯარიმოც მიაყოლეს და ნტდ წინ გავიდა — 74:70. ამ დროს ანატოლი ბოისამ ითამაშა კარგად და მეტოქეს ბურთი გადაუგდო თავზე — 72:74. მაგრამ ამის შემდეგ ლევან მოსეშვილის გუნდს მოედნიდან 5 პერსონალურით ბერიშვილი გაუგდეს.

დრო კიდევ რჩებოდა, თანაც ნტდ-მ შეტევაში დაკარგა ბურთი. „ავიამ“ შეუტია, მაგრამ სწორედ ამ დროს გაიბრწყინა მიხეილ ჩიტაშვილმა, რომელმაც მანამდე საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვა. მან ჯერ ერთი საჯარიმო ჩააგდო ორიდან — 75:77, შემდეგ კი ავიამშენელ ვატო ნაცვლიშვილს მოჰპარა ბურთი, მეტოქის ნახევარზე გადავიდა, ორქულიანი ჩააგდო და რეალურად ამით დასრულდა კიდეც მატჩი. დარჩენილ რამდენიმე წამში „თბილავიამშენს“ შეხვედრის გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ნუგზარ კანდელაკის გუნდმა პირველი შეხვედრა მოიგო დაარსების შემდეგ. ამაში გუნდის თითოეულმა მოთამაშემ შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ ალბათ მაინც უნდა გამოვყოთ აზერბაიჯანელები — ზაურ ფაშაევი და ანარ სარიევი. მათმა სამქულიანებმა დიდწილად გადაწყვიტა მატჩის ბედი. პირველმა 6, მეორემ კი 4 სამქულიანი მოათავსეს მეტოქის კალათში.

ნუგზარ კანდელაკი: „ამ მოგებისთვის ბევრი ვიშრომეთ. ახლა კმაყოფილი ვარ შედეგით. თამაშის ხარისხზე რა უნდა გითხრათ. უკეთესის სურვილს ტოვებს, მაგრამ მთავარია, გამარჯვება. ჩვენ ჩემპიონატი მოგებით დავიწყეთ, თანაც ძლიერ „ავიამშენთან“. ახლა კიდევ უფრო მეტი ხალისით გავაგრძელებთ თამაშს და ვარჯიშს. დღეს ძალიან ბევრი შეცდომა გვქონდა, სხვა დროს შეიძლება ამან დაგვღუპოს და წაგვაგებინოს. გამოსასწორებლად ბევრი უნდა ვიშრომოთ“.

**ანა მახარაშვილი**
**გიორგი არაბული**

# ქორებმა ზაზა ფაჩულია სათადარიგოდ გამოფინეს



**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა“ შაბათს მეექვსე საგამოფენო მატჩი გამართა და მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა. ქართველი ცენტრისთვის ეს იყო მეხუთე თამაში ამ შემოდგომაზე და მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ის მეორედ დააწინაურა სასტარტო ხუთეულში. ფაჩულიამ გაამართლა, პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა — 24 წუთში 12 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა მეტოქის ფარზე, 10 მოხსნიდან 7 შეტევაში მოიპოვა და თავის გუნდს მეორე შანსი მისცა.

„ატლანტამ“ ეს თამაში 109:96 მოუგო ლარი ბრაუნის „შარლოტს“, რომელსაც ჯერჯერობით ახალი მწვრთნელის ხელი საერთოდ არ ეტყობა, საგამოფენო თამაშებს ერთთავად აგებს, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი ყველა წამყვან მოთამაშეს საკმაოდ ტვირთავს და მეტიც, თუკი რომელიმე მის შეგირდს 48-წუთიან თამაშში 20 წუთზე ნაკლებ ხანს მოუწევს მოედანზე ყოფნა, მერე ტოვებს და აიძულებს, დამატებით ივარჯიშოს. მაგრამ, როგორც ითქვა, „შარლოტს“ ჯერ მისი ხელი დიდად არ ეტყობა.

ლიდერთა დატვირთვას არც „ატლანტას“ თავკაცი ვუდსონი ერიდება. აგერ, ჯო ჯონსონი 35 წუთით დატვირთა და „ქორების“ ლიდერმაც 22 ქულა გააკეთა. ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ სხვა ვარსკვლავებიც — ბიბი, სმიტი, ჰორფორდი. ამ მატჩების მიხედვით უკვე შეიძლება დამდეგი რეგულარული ჩემპიონატისთვის „ატლანტას“ დამწყები ხუთეულის შედგენა. თუმცა შედგენაც არ უნდა — შარშანდელის იდენტური იქნება — ბიბი, ჯონსონი, უილიამსი, სმიტი, ჰორფორდი. ფაჩულია სავარაუდოდ ისევ შეცვლაზე შევა. „ატლანტას“ სკამს გააძლიერებს რონალდ მიურეი, რომელმაც შაბათს „შარლოტს“ 18 ქულა ჩაუგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**



# ცქიტიშვილი მადრიდს თბილისში ელოდება

**იტალიური** „ტერამოდან“ წამოსვლის შემდეგ ნიკა ცქიტიშვილი თბილისში იყო და ახალ გუნდს ეძებდა.

ცქიტიშვილს გუშინ სპორტის სასახლეში შევხვდით და მისგან შევიტყვეთ, რომ უკვე კონტრაქტიც გაუფორმებია: „უკვე გავაფორმე ერთწლიანი კონტრაქტი ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე მადრიდის „ფუენლაბრადასთან“. მართალია ჩემპიონატი უკვე დაწყებულია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ გუნდში კარგად და რაც მთავარია, მალე ჩავჯდები. ამ დღეებში ესპანეთის საკონსულოში ვარ დაბარებული და ვიზას ველოდები, როგორც კი ეს საკითხი მოგვარდება, მადრიდში მაშინვე გავემგზავრები“.

# შავი შემოდგომა გორის რაიონში



**მაშინ,** როცა მილიონობით გულშემატკივარი პეკინის ოლიმპიადას მისჩერებოდა, პატარა საქართველო დიდ გველეშაპთან ბრძოლაში იყო ჩაბმული. დაუბარებელმა სტუმარმა დაუნდობლად გაანადგურა ყველაფერი და სისასტიკით გაუსწორდა ყველას და ყველაფერს. გორის რაიონიდან წამოსული ათიათასობით დევნილი ოქტომბრის თვეში დაუბრუნდა საკუთარ სახლ-კარს, მაგრამ დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობის მოსახლეობა ჯერაც ვერ ახერხებს შინ წასვლას.

გორის რაიონში სპორტული ინფრასტრუქტურისა და საერთო მდგომარეობის გასაცნობად ჩავედით. გზად მიმავლებს ომის კვალი როგორ არ გვხვდებოდა, მაგრამ ძნელია იმ საშინელი წუთების ბოლომდე გათავისება, რაც აგვისტოში იქ იყო. გადამწვარი, ძაღლების ამარა მიტოვებული სახლები, დადარდიანებული ადამიანები. გული მოგიკვდება კაცს მათ დანახვაზე, მაგრამ ვერაფრით ახერხებ იმ სიტუაციის წარმოდგენას, რაც ორიოდე თვის წინ გორის რაიონში იყო.

კარალეთის ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედანი დაუზიანებელი დაგვხვდა. ასე, 7-8 წლის სამი ბიჭი ფეხბურთს თამაშობდა. ბავშვური სიცელქით დასდევდნენ ბურთს და მანამ სურათების გადაღება არ დავუწყეთ, ყურადღება არც მოუქცევიათ. მერე მოვიდნენ, ომის დროს წასულები ვიყავითო, გვითხრეს და ისევ ბურთს დაუწყეს დევნა. ჩვენ დანახვაზე გზის მეორე მხრიდან ალექსი შაყულაშვილი გადმოვიდა, მოგვესალმა და თავისი ამბავი მოგვიყვა. ომის დროს სახლი არ მიუტოვებია და მთელი უბედურება, რაც იქ ტრიალებდა, თავზე გადახდა... ძალიან ცუდად იქცეოდნენო, დამწუხრებული გვიყვება ალექსი პაპა და თან ერთი ადგილისკენ გვაზედებს, იქ სამი ქართული დროშა ეკიდა და რუსებმა ტანკებით გადათელესო. კითხვაზე, თქვენი ახლობელი ხომ არავინ დალუპულაო, ჩუმდება, თვალს გვარიდებს, მერე ცრემლს მალულად იწმენდს და ჩურჩულით ამბობს: ჩემი მეგობარი მოკლეს, გზაზე გადმოდიოდა და პირდაპირ ესროლეს.

ალექსი პაპას ვემშვიდობებით და გზას ვაგრძელებთ. ქუჩაში ხალხი გვხვდება, ბაასობენ, ერთმანეთისა და ქვეყნის ჭირ-ვარამს არჩევენ. ეს უკვე რაღაც კარგის ნიშანია. ესე იგი, ხალხი ნელ-ნელა ჩვეულ რიტმს უბრუნდება, ცხოვრებას აგრძელებს. ტყვიავში ჩასულებს მინი-მოედანზე სამი ბიჭი გვხვდება, თან რაღაც საოცრად გავს ეს სამი პატარა იმათ, კარალეთში რომ დავტოვეთ. ცელქობენ, ბურთის თამაშში გერთავენ და სურათების გადაღებაზე ხალისობენ. მათგან ვიგებთ, რომ 12 აგვისტოს მარადიორებს 22 წლის ძიუდოისტი ჯაბა ჯალაბაძე მოუკლავთ. ჯაბა ნიჭიერი ძიუდოისტი იყო, გორში გია თენაძესთან დადიოდა სავარჯიშოდ. იმ დღეს თავისი სოფლიდან, ფლავიდან, ტყვიავში წასულა. ახლობლები არ უშვებდნენ, მაგრამ მაინც წავიდა. წავიდა და დაიღუპა...

რაც უფრო შორს მიდიხარ, უფრო მეტად გიმძიმდება გული, უფრო მეტ ცუდ ამბავს გიყვებიან ადგილობრივები. მეღვრეკისში ჩასულებს ბაღებში ხილის საკრეფად შეფენილი ხალხი მოგვხვდა თვალში. მივედით, გამოვესაუბრეთ. შემოგვჩივლეს, ყველაფერი აოხრებული დაგვხვდა, ახლა ხილის მოკრეფასლა ვახერხებთ, მაგრამ თან შიშის ქვეშ ცხოვრება გვიწევსო.

გზას ვაგრძელებთ. ერგნეთში ჩავდივართ და ეგრეთ წოდებული საზღვარიც ჩნდება. ქართული საგუშაგოდან ერთი ხელის გაწვდენაზე ცხინვალია. იქით ვეღარ წახვალ. სიმწრისგან გელიმება იმის გაფიქრებაზე, რომ თურმე იქით ქართული მიწა აღარ არის, თურმე იქით სხვა ქვეყანა იწყება და შენ, ქართველს, იქ არაფერი გესაქმება.

ქალაქი რაღაც უცნაურად დადუმებულა, არ ხმაურობს, სიცოცხლის ნიშან-წყალს არ იმჩნევს. საერთოდ, სულიერი არ ჭაჭანებსო, გაფიქრებინებს... ცხინვალს იქით მდებარე ქართული სოფლების დანახვას ვცდილობ, მაგრამ, სამწუხაროდ, აქედან არ ჩანს. არადა, როგორ მინდა, ერთი თვალი გადამავლებინა იქაურობისთვის. საგუშაგოს პირას ვდგავარ, ჰორიზონტს გავცქერი და ისეთი განცდა მეუფლება, ნება რომ მომცენ, ერთი ამოსუნთქვით გავირბენ რამდენიმე კილომეტრს და სოფელში ჩემს დამწვარ სახლთან გავჩერდები. მერე ვხვდები, რომ ეს მარტო ჩემი ფიქრები არ არის, ეს იმ ათასობით ადამიანის ფიქრია, ომს რომ გამოექცა და გონებით დღედალამ თავის დამწვარ სახლთან არის.

უკან გულდამძიმებულები მოვდივართ, მოვდივართ და გონებაში ჩაბეჭდილი ქართველების დადარდიანებული სახეები და მათი მონათხრობი მოგვდევს, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება!..

**ლევსო მაისურაძე**



ხელბურთი



# თევზაძე ისევ თავშია

**რუმინეთის** ხელბურთელთა ჩემპიონატში ლამის ნახევარი სეზონი მიილია, სატურნირო ცხრილის თავში კი „კონსტანცასთან" ერთად ქართველი მეკარის შოთა თევზაძის „ბაკაუა" წამოსკუპებული. არადა, სეზონის წინ „ბაკაუს" ლიდერობას ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი. აკი, თავად შოთამაც გვითხრა, ჩემპიონატის დაწყებამდე საამსეზონოდ ოთხეულში მოხვედრა გვაქვს მიზნად დასახულიო.

ასეა თუ ისე, ამ დრომდე „ბაკაუ" ცხრილის თავშია. აგერ, ბოლო ტურშიც სტუმრად „ოდორხეის" დამაჯერებლად 31:26 მოუგო და 14 ქულით პირველ-მეორე ადგილს „კონსტანცას" უყოფს.

რუმინეთის ჩემპიონატში სამი კვირით შესვენება გამოცხადდა, მერე კი ქართველს და მის გუნდს დიდი ბრძოლა მოუწევთ და იქნებ ჩემპიონობასაც გამოჰკრან ხელი.

**ლევსო მაისურაძე**

# პატარებს ფოთი ლიდერობს

**1990-1992 წლებში** დაბადებულ ხელბურთელთა ჩემპიონატმა ერთი ტური მოილია. ჩემპიონატში რვა გუნდია თავმოყრილი: „ფოთი", „რუსთავი", „სამტრედია", „ყვარელი", „ქარიშხალა", „ქუთაისი", „ბათუმი", „გორი". რვა გუნდი ორ ჯგუფად არის დაყოფილი — დასავლეთის და აღმოსავლეთის ზონებად. შესაბამისად, დასავლეთში „ფოთი", „სამტრედია", „ქუთაისი", „ბათუმი" თამაშობენ, ხოლო აღმოსავლეთში: „რუსთავი", „ქარიშხალა", „ყვარელი", „გორი".

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთი | 3 | 0 | 0 | 114-78 | 6 |
| რუსთავი | 3 | 0 | 0 | 81-64 | 6 |
| სამტრედია | 2 | 0 | 1 | 88-76 | 4 |
| ყვარელი | 1 | 1 | 1 | 92-70 | 3 |
| ქარიშხალა | 1 | 1 | 1 | 78-70 | 3 |
| ქუთაისი | 1 | 0 | 2 | 71-90 | 2 |
| ბათუმი | 0 | 0 | 3 | 60-89 | 0 |
| გორი | 0 | 0 | 3 | 62-109 | 0 |

**ბომბარდირები:**

**აღმოსავლეთის ზონა:** ელგუჯა ხაბაზიშვილი (გორი) 27, ერეკლე კორაშვილი (ყვარელი) 25, დავით მძელური (რუსთავი) 25

**დასავლეთის ზონა:** ჯუმბერ ხუნჯუა (ფოთი) 53, გიორგი ადამია (ქუთაისი) 26, ანზორ თუთბერიძე (ქუთაისი) 24

ჩოგბურთი

# ლეილა მესხის მესამე და უალტერნატივო



**პრაქტიკულად,** გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას მოქმედი პრეზიდენტი ლეილა მესხი მესამე ვადით უპრეზიდენტებს.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც 14 ნოემბერს გაიმართება, ლეილა მესხი უალტერნატივო კანდიდატურა იქნება, რადგან ჩვენი ჩოგბურთის თავკაცობის მსურველებს საკანდიდატო რეგისტრაცია გასულ უქმეებამდე უნდა გაევლოთ. ლეილა მესხის ოპონენტობა და შინაური ჩოგბურთის გაძღოლა კი არავინ ინება და ლეილა მესხიც უალტერნატივო კანდიდატურა შეიქნა.

შეგახსენებთ, რომ წინა არჩევნებისას მესხის ოპონენტი ჯერჯერობით ყველაზე წარმატებული ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი იყო, შარშანწინ კი მესხს იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ირაკლი ლაბჩავა აუჯანყდა და რიგგარეშე არჩევნებსაც ითხოვდა, თუმც სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტის ჩარევით სკანდალი მალევე ჩაიფარცხა.

**ბაჩო სვანიძე**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
ტელეფონი: 91 33 54

# ჰემილტონმა ჩინეთში ტიტული დაინახა

ორი კვირის შემდეგ ბრაზილიაში, სან პაულოს „ინტერლაგოსის“ ტრასაზე წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის ბოლო დიდი პრიზი გათამაშდება და ამ, დასკვნითი ეტაპის წინ „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი, უკვე 7 ქულას უგებს „ფერარის“ ბრაზილიელ პილოტ ფელიპე მასას. ეს უკვე გვარიანი სხვაობაა — ბოლო ეტაპის წინ 7 ქულა ბევრად სჯობს იმ 5 ქულას, რომელიც გუშინ გამართულ ჩინეთის დიდ პრიზამდე, ანუ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ეტაით ადრე იყო. მარტივი არითმეტიკა გვეუბნება, რომ ლუისს საჩემპიონოდ მეოთხე ადგილიც ჰყოფნის და ეს იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიაში მასა მოიგებს. თუ მასა მეორე იქნება, მაშინ ჰემილტონს მე-8 ადგილი, ანუ ერთი ქულაც დააკმაყოფილებს, ხოლო თუ ფელიპე მესამე ადგილზე წინ ვერ წავა, ინგლისელი ავტომატურად ხდება ჩემპიონი.

თუმცა, მაინც ნუ ვიჩქარებთ, რადგანაც შარშან ამ დროს ჰემილტონი ზუსტად 7 ქულას უგებდა „ფერარის“ მრბოლს, ოღონდაც არა მასას, არამედ ფინელ კიმი რაიკონენს და ტიტული ამ უკანასკნელს დარჩა, რადგანაც ლუისმა „ინტერლაგოსზე“ საშინელი შეცდომები დაუშვა და მხოლოდ ორქულიანი, მე-7 ადგილი დაიკავა.

მეორე მხრივ, ანალოგიები შარშანდელსა და წლევანდელს შორის ამით ამოიწურება. შარშან ჩემპიონობისთვის ბოლო ეტაპზე სამნი, ჰემილტონი, რაიკონენი და მაშინ ჰემილტონის თანაგუნდელი ფერნანდო ალონსო იბრძოდნენ, ხოლო ახლა მესამე აღარ არის — „BMW-ზაუბერის“ რობერტ კუბიცა, ვისაც ჩინეთამდე აგრეთვე ჰქონდა თეორიული საჩემპიონო შანსი, შანხაიში მე-6 ადგილსა და 3 ქულას დასჯერდა და სატიტულო ბრძოლას გამოეთიშა. ამას გარდა, შარშან ჰემილტონი დებიუტანტი იყო, პირველ საპირველფორმულო სეზონს ატარებდა და თანაც, ბრაზილიაში ჩინეთში განცდილი ფიასკოს შემდეგ ჩავიდა. ახლა ლუისი გაცილებით გამოცდილია და ბრაზილიასაც მშვენიერ ხასიათზე მყოფი, ჩინური ტრიუმფის შემდეგ ესტუმრება.

შანხაიში ჰემილტონს მართლაც არ ჰყოლია ბადალი. ერთადერთი, მესამე, ანუ შაბათის თავისუფალი პრაქტიკისას ჩამორჩა მცირედით „BMW-ზაუბერის“ ნიკ ჰაიდფელდს, თორემ სხვა მხრივ, ის მთელი სარბოლო უიქენდის მანძილზე შეუდარებელი იყო. ინგლისელმა მოიგო პარასკევის ორივე თავისუფალი პრაქტიკა, შაბათს კვალიფიკაციაში აჯობა ყველას და პოული მოიპოვა, ხოლო გუშინ, უკვე უშუალოდ რბოლის დროს, უპრობლემოდ მოიგო სტარტი და პიტ-სტოპებზე შესვლისას დროს მცირე ხნით დათმობილ ლიდერობას თუ არ ჩავთვლით, ახლოს არავინ გაიკარა. პლუს სეზონში პირველი უსწრაფესი წრე და გამოდის, რომ ლუისმა შანხაიში ჰეთ-თრიკით (დიდი პრიზი, პოული, უსწრაფესი წრე) იმარჯვა.

ეს იყო ჰემილტონის მიერ წლეულს მეხუთე, ხოლო ორწლიან კარიერაში მოგებული მეცხრე დიდი პრიზი, რომელმაც ის ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვა ჩემპიონობას.

წინა, იაპონური ეტაპისგან განსხვავებით, ჩინეთში რბოლა საკმაოდ მშვიდი გამოვიდა და უსაფრთხოების მანქანა ტრასაზე საერთოდ არ გამოჩენილა. შეცდომებიც, ფაქტობრივად, არ ყოფილა. სტარტზე, ერთი, ჰემილტონის თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი შეეცადა ალონსოს გასწრებას და თითქოს გამოუვიდა კიდეც, მაგრამ ორგზის ჩემპიონმა უმალ დაიბრუნა მეოთხე პოზიცია. წინ ჰემილტონი, რაიკონენი და მასა იყვნენ და ესპანელს მათი დაწევის შანსი არ ჰქონია. ლიდერების უკან „BMW-ზაუბერის“ მრბოლებმა იყოჩაღეს — ჰაიდფელდმაც და კუბიცამაც უსახური კვალიფიკაციის შემდეგ სტარტზე რამდენიმე პოზიცია მოიგეს, თუმც მეტი, ველარც მათ შეძლეს.

ჰემილტონი კი ყოველ წრეზე ზრდიდა უპირატესობას. თავის მხრივ, რაიკონენიც ინარჩუნებდა მასასთან კომფორტულ უპირატესობას, მაგრამ, როდესაც ფერარის“ შტაბში მიხვდნენ, რომ კიმი ლუისის დამწევი არ იყო, ფინელს შენელება უბრძანეს და შარშანდელმა ჩემპიონმაც ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე მასა გაატარა და შედეგად, ამ უკანასკნელმა საჩემპიონო შანსი შეინარჩუნა.

57 000 მაყურებელი

„არ ვიცი, საიდან მოგვაწყდა ამდენი ენერგია, მაგრამ წაგება არ გვინდოდა და მართლა საუცხოოდ ვითამაშეთ" — თქვა „ჰოფენჰაიმის" ფორვარდმა ვედად იბიშევიჩმა, რომელმაც „ჰანოვერის" კარში პირველი და მეხუთე გოლები გაიტანა.

ბუნდესლიგის დებიუტანტი „ჰოფენჰაიმი" ლიდერებში პირველი ტურიდანვე გაერია და ეტყობა, მაღლა ისე მოეწონა, რომ დაბლა ჩასვლას აღარ აპირებს.

რალფ რანგნიკის გუნდი ჰანოვერში იგებდა, მერე აგებდა, მაგრამ ბოლოს თავი გაიგიჟა და 13-წუთიან მონაკვეთში „პოკერი" შეასრულა.

იბიშევიჩმა თავისივე წამოწყებული კომბინაცია გოლით დაასრულა, კრისტიან შულცმა კი მეორე ტაიმში კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შეაგდო კარში და გაათანაბრა.

კონტრშეტევისას ირჟი შტაინერმა მაღალ კუთხეში გაუტანა სტუმართა მეკარეს და „ჰოფენჰაიმი", თითქოს ამას ელოდაო, მეტოქის საჯარიმოს მიაწყდა.

„ჰანოვერის" მეკარემ ფლორიან ფრომლოვიცმა ბურთი ვერ დაიჭირა და ედუმ დასაჯა — 2:2

საიდ სალიჰოვიჩმა რობერტ ენკეს შემცვლელს ცაციით მესამე ცხრიანში გაუტანა, ხოლო დემბა ბამ ფრომლოვიცს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და სხვაობა გაზარდა. „ჰანოვერის" მორყეულმა დაცვამ და მეკარემ ბოლოს მეხუთე იბიშევიჩისგან გაუშვეს, გამწარებულმა მასპინძელმა არნოლდ ბრუგინკმა ისლა მოახერხა, რომ სალიჰოვიჩი მოჩეხა და მსაჯს თავი გააძევებინა.

ბრემენული მატჩის ბოლო მძაფრსიუჟეტიანი გამოვიდა. „ვერდერმა" და „დორტმუნდმა" პირველ ტაიმში იზარმაცეს, მეორეში კი ქომაგი გაახალისეს.

ფრანკ ბაუმანმა სებასტიან კელი საპენალტედ წააქცია და ალექსანდრ ფრაიმ თერთმეტი მეტრიდან გაიტანა.

ათ წუთში ბაუმანმა გაათანაბრა — კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი საგოლედ დაჰკრა.

მატს ჰუმელსმა „დორტმუნდი" კვლავ დააწინაურა, მაგრამ კლაუდიო პისარომ დამატებულ დროში გაქვითა. მეკარეს ბურთი ილლიაში გაუძვრა და პერუელმა ცარიელ კარში შეაგდო.

მანვე მახვილი კუთხიდან მესამე გაიტანა და „ვერდერს" სამი ქულა ჯიბეში ეგულებოდა, როცა ფლორიან კრინგეს დარტყმული ტიმ ვიზემ მოიგერია, მოჰამედ ზიდანმა კი დაამატა და გაათანაბრა.

„ასეთი დაცვით პირველობისთვის ვერ ვიბრძოლებთ — თქვა თომას შააფმა — პისაროს გოლის მერე თამაში უნდა მოგვეგო".

ზედიზედ სამი მოუგებელი ტურის შემდეგ „ბაიერნმა" გამარჯვების გემო გაიხსენა. მიუნხენელებმა „კარლსრუე" ბოლოსლა გატეხეს. მასომო ოდომ მარჯვნიდან კარის წინ ჩააწოდა და მიროსლავ კლოზემ ერთი შეხებით ბადეში შეაგდო.

„შედეგით კმაყოფილი ვარ — განაცხადა კლინსმანმა — მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ, თუმცა დიდი მოთმინება და შრომა დაგვჭირდა ერთი გოლის გასატანად".

„იღბალი დაგვეხმარა, მაგრამ „ბაიერნს" ახლა სწორედ ეს სჭირდება" — თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

„კიოლნმა" მილივოე ნოვაკოვიჩის გოლით „კოტბუსი" დაამარცხა, მიჯრით მესამე გამარჯვება მიითვალა და ზედა ათეულში შეძვრა.

„აინტრახტი" კვლავაც ერთადერთ მოუგებელ გუნდად რჩება, რაკი შინ მორიგი წაგება „ლევერკუზენისგან" იწვნია. პატრიკ ჰელმესმა პენალტი გაიტანა, არტურო ვიდალმა კი მეკარეს მაღალ ბურთზე დაასწრო და მეორე შეაგდო.

ბილეფელდის „არმინიას" წელიწადზე მეტია, სტუმრად არ მოუგია — შარშან პირველ ტურში სწორედ ვოლფსბურგში იმარჯვა, მაგრამ წლეულს ისტორია არ განმეორდა.

ზვეზდან მისიმოვიჩმა პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა. ჯერ თავით გაიტანა, მერე ფეხით, შესვენების შემდეგ კი საგოლე პასი გაიფორმა. კუთხურიდან ჩააწოდა და ალექსანდრ მადლუნგმა თავურით შეაგდო.

არმინიელმა ალექსანდერ ლაასმა მეტოქეს პასი ჩაუჭრა და მახვილი კუთხიდან გაიტანა, მაგრამ გრაფიტემ სხვაობა აღადგინა — მკერდიდან ჩამოღებული ბურთი კარში შეაბრძანა.

ცხრილის თავში კვლავ „ჰამბურგია", რომელიც გუშინ „შალკეს" დაუზავდა და ზედიზედ მეოთხე საშინაო მატჩი ვერ მოიგო. დავიდ იაროლიმმა მეტოქეს უკან პასი ჩაუჭრა, ბურთი პიოტრ ტროხოვსკის მიაწოდა და ნახევარმცველმა ანგარიში გახსნა.

სტუმრებმა ბენედიქტ ჰიოვედესის წყალობით გაათანაბრეს, ვინაც ფარფანის ჩაწოდებულს თავი საგოლედ დაუხვედრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:12 | 17 |
| ჰოფენჰაიმი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:14 | 16 |
| ლევერკუზენი | 8 | 5 | 0 | 3 | 20:11 | 15 |
| ჰერტა | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 14 |
| ვოლფსბურგი | 8 | 3 | 4 | 1 | 18:12 | 13 |
| შალკე | 8 | 3 | 4 | 1 | 12:8 | 13 |
| შტუტგარტი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 13 |
| დორტმუნდი | 8 | 3 | 4 | 1 | 16:14 | 13 |
| კიოლნი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:9 | 13 |
| ვერდერი | 8 | 3 | 3 | 2 | 22:19 | 12 |
| ბაიერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 16:13 | 12 |
| კარლსრუე | 7 | 3 | 0 | 4 | 7:10 | 9 |
| ჰანოვერი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:16 | 8 |
| ბოხუმი | 8 | 1 | 4 | 3 | 12:13 | 7 |
| არმინია | 8 | 1 | 3 | 4 | 10:16 | 6 |
| კოტბუსი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:11 | 5 |
| გლადბახი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:17 | 4 |
| აინტრახტი | 7 | 0 | 3 | 4 | 5:11 | 3 |

**IX ტური**
**25 ოქტომბერი**

ბაიერნი — ვოლფსბურგი
შალკე — არმინია
შტუტგარტი — ბოხუმი
ლევერკუზენი — კიოლნი
ჰანოვერი — ვერდერი
დორტმუნდი — ჰერტა
კოტბუსი — აინტრახტი
გლადბახი — კარლსრუე
ჰოფენჰაიმი — ჰამბურგი

### მეორე ბუნდესლიგა
**VIII ტური**

ოსნაბრიუკი — ობერჰაუზენი 2:1; ლაუტერნი — ალენი 4:1; ნიურნბერგი — ფრაიბურგი 2:0; დუისბურგი — ინგოლშტადტი 6:1; ვეჰენი — ფრანკფურტი 3:1; აუგსბურგი — ზანკტ პაული 3:2; ჰანზა — კობლენცი 9:0; მიუნხენი — ფიურტი 3:1. ალემანია — მაინცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 7 | 5 | 2 | 0 | 20:8 | 17 |
| ფრაიბურგი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:7 | 16 |
| ლაუტერნი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:13 | 16 |
| დუისბურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:10 | 14 |
| ალენი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:14 | 14 |
| ფიურტი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:14 | 13 |
| ჰანზა | 8 | 3 | 3 | 2 | 21:11 | 12 |
| ოსნაბრიუკი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:17 | 11 |
| კობლენცი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:15 | 11 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:9 | 10 |
| ალემანია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 10 |
| ზანკტ პაული | 8 | 3 | 1 | 4 | 15:20 | 10 |
| ინგოლშტადტი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:18 | 10 |
| ნიურნბერგი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| აუგსბურგი | 8 | 2 | 0 | 6 | 10:15 | 6 |
| ვეჰენი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:19 | 6 |
| ობერჰაუზენი | 8 | 2 | 0 | 6 | 8:21 | 6 |
| ფრანკფურტი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:15 | 5 |

### III ბუნდესლიგა

აალენი — რუპერტალი 0:0; ბრაუნშვაიგი — ბურგჰაუზენი 2:0; რეგენსბურგი — აუე 1:4; ზანდჰაუზენი — ერფურტი 2:0; უნტერჰახინგი — ემდენი 1:1; დიუსელდორფი — ბაიერნი (მ) 1:1; პადერბორნი — ოფენბახი 0:0; ვერდერი (მ) — უნიონი 1:2; კარლ ცაისი — დინამო 0:0

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

ალტონა — ჰერტა (მ) 3:0; ქემნიცი — ბაბელსბერგი 1:2; ლიუბეკი — ჰანზა (მ) 3:3; მაგდებურგი — პლაუენი 0:0; ტურკიემსპორი — ჰამბურგი (მ) 0:2; ობერნოილანდი — ჰალე 1:1; ჰანოვერი (მ) — კილი 1:3; ვილჰელმშავენი — ლაიპციგი 0:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა

ბამბერგი — კარლსრუე (მ) 2:0; ფრაიბურგი (მ) — დარმშტადტი 0:2; ფიურტი (მ) — გროსბარდორფი 1:0; კასელი — ვეენი (მ) 2:1; მიუნხენი (მ) — უნტერჰახინგი (მ) 2:2; პფულენდორფი — ვიქტორია 1:0; აინტრახტი (მ) — როიტლინგენი 4:0

### დასავლეთ რეგიონალლიგა

დორტმუნდი (მ) — ლოტე 0:2; ელვერსბერგი — ლაუტერნი (მ) 2:0; კლევე — ტრირი 1:2; ლევერკუზენი (მ) — ბოხუმი (მ) 3:2; გლადბახი (მ) — კიოლნი (მ) 0:0; მიუნსტერი — ფერლი 0:1; მაინცი (მ) — კლოპენბურგი 4:1

# რანიერის კი ფრე უნდოდა



რონალდინიო დუბლით გამოირჩა

## იტალია
### სერია A
### VII ტური

**ფიორენტინა 3:0 რეჯინა**

1:0 პაცინი (29პ), 2:0, 3:0 ჟილარდინო (76, 81)
ფიორენტინა: ფრეი, კომოტო, დაინელი, გამბერინი, გობი, დონადელი, მელუ, კუზმანოვიჩი (მონტოლივო 59), სანტანა, პაცინი (ჟილარდინო 71), იოვეტიჩი (ოსვალდო 67)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რეჯინა: კამპანიოლო, ლანძარო, ჩირილო, სანტოსი, კოსტა, ვიჯანი (პუჯონი 40), ბარეტო, კარმონა, ბრიენცა, კოცა (დი ჯენარო 85), რაკიჩი (ჩირავოლო 52)
მწვრთნელი: ნევიო ორლანდი
გაფრთხილება: კომოტო, კარმონა
გაძევება: კამპანიოლო (38)
მსაჯი: ორსატო

**ნაპოლი 2:1 იუვენტუსი**

0:1 ამაური (61), 1:1 ჰამშიკი (65), 2:1 ლავეცი (80)
ნაპოლი: იეცო, სანტაკროჩე, კანავარო (არონიკა 64), კონტინი, მაჯო, ბლაზი, გარგანო ჰამშიკი, ვიტალე (მანინი 46), ლავეცი, სალაიეტა (დენისი 68)
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
იუვენტუსი: მანინგერი, გრიგერა, კნეჟევიჩი, კიელინი, მოლინარო (ჯოვინკო 83), სალიჰამიჯიჩი, პოულსენი (ეკდალი 75), მარკიზიო, ნედვედი, დელ პიერო (დე ჩელიე 71), ამაური
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: პოულსენი, მოლინარო, გარგანო, ბლაზი, სალიჰამიჯიჩი, ლავეცი, გრიგერა
მსაჯი: საკანი
29 000 მაყურებელი

**ბოლონია 3:1 ლაციო**

1:0 ვოლპი (5), 2:0, 3:0 დი ვაიო (12, 26), 3:1 როკი (59)
ბოლონია: ანტონიოლი, ძენონი, მორასი, ტერცი, ბომბარდინი, მუდინგაი, ლავეკია (მინგაცინი 63), ვოლპი, ვალიანი (კასტელინი 90), მარკინი (ლანა 73), დი ვაიო
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ლაციო: კარისო, ლიხტშტაინერი, სივილია, კრიბარი, კოლაროვი, დაბო (მაური 34), ლედესმა, ბროკი, ფოჯა, პანდევი (ს. ინძაგი 79), სარატე (როკი 46)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: სივილია, ბომბარდინი, დაბო, მარკინი, ბროკი, ძენონი, მუდინგაი, ლედესმა
მსაჯი: ტალიავენტო
20 145 მაყურებელი

**კატანია 2:0 პალერმო**

1:0 მარტინესი (69), 2:0 მასკარა (87პ)
კატანია: ბისარი, სარდო (სტოვინი 72), სილვესტრე, ტერლიცი (ბაიოკო 88), სილვესტრი, ისკო, ბიაჯანტი (ლიამა 60), ჯაკომო ტედესკო, მარტინესი, მორიმოტო, მასკარა
მწვრთნელი: ვალტერ ძენგა
პალერმო: ამელია, კასანი, კაროძიერი, დელაფიორე, ბალძარეტი, ნოჩერინო (ბუდანი 74), ლივერანი, მილიაჩო, სიმპლისიუ (ჯოვანი ტედესკო 53), კავანი, მიკოლი
გაფრთხილება: კაროძიერი, მილიაჩო, კაროძიერი
გაძევება: კაროძიერი (45)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
მსაჯი: როკი
19 000 მაყურებელი

**მილანი 3:0 სამპდორია**

1:0, 2:0 რონალდინიო (55, 70), 3:0 ფ. ინძაგი (90)
მილანი: აბიატი, ანტონინი, ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, ფლამინი, ზეედორფი (ემერსონი 74), ამბროზინი, რონალდინიო, პატო (კაკა 46), ბორიელო (ინძაგი 79)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სამპდორია: კასტელაცი, ლუკინი, გასტალდელო, ბოტინელი, პადალინო (სტანკევიჩიუსი 60), სამარკო, ფრანჩესკინი, ციგლერი (ბელუჩი 71), პიერი, დელვეკიო, კასანო (ბონაცოლი 81)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ბოტინელი, ლუკინი, ფლამინი, იანკულოვსკი, ლუკინი
გაძევება: ლუკინი (55)
მსაჯი: დამატო
60 000 მაყურებელი

**ლეჩე 2:2 უდინეზე**

1:0 ტირიბოკი (32), 2:0 დომიცი (52ს.კ.). 2:1 სანჩესი (58), 2:2 დაგოსტინო (71)
ლეჩე: ბენუსი, პოლენგი, სტენდარდო, ფაბიანო, ესპოზიტო, ჯაკომაცი, ძანეტა (ბუდიანსკი 61), არიატი, კაზერტა (მუნარი 69), კასტილიო (კაჩა 83), ტირიბოკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
უდინეზე: ჰანდანოვიჩი, დომიცი, კოდა, ფერონეტი, პასკუალე (ლუკოვიჩი 56), ინლერი, დაგოსტინო (ობოდო 82), ისლა, პეპე (სანჩესი 56), კვალიარელა, ფლორო ფლორესი
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: ინლერი, ფაბიანო, ჯაკომაცი, დომიცი, არიატი, პეპე, ტირიბოკი
მსაჯი: ჯერვაზონი
10 000 მაყურებელი

**ჯენოა 1:0 სიენა**

1:0 ბიავა (20)
ჯენოა: რუბინიო, ბიავა, ფერარი, კრიშტო, მესტო (გასბარონი 53), მილანეტო (ტაგუ მოტა 15), ბოკეტი, ჯურიჩი, სკული, პალადინო (რომანი 68), მილიტო
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
სიენა: კურჩი, როსეტინი, ფიკანია (როსი 80), პორტანოვა, დელ გროსო, ვერგასოლა, კოპოლა (გეზალი 56), გალოპა, ხარია, ფრიკი (კალაიო 60), მაკარონე
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: როსეტინი, პალადინო, გალოპა
მსაჯი: აიროლდი
20 000 მაყურებელი

**კიევო 1:1 ატალანტა**

1:0 მანტოვანი (45), 1:1 პინტუ (62)
კიევო: სორენტინო, ფრეი, მანდელი, იეპესი, მანტოვანი (მალაგო 80), პინცი (ლუსიანო 68), იტალიანო, ბენტივოლიო, მარკოლინი, პელისიერი, ლანძელა (ოუნგო 68)
მწვრთნელი: ჯუზეპე ლაკინი
ატალანტა: კოპოლა, გარისი, ტალამონტი, მანფრედინი, ბელინი (რივალტა 60), პინტუ, დე აშენტისი, გუარენტე, პადოინი (ჩერჩი 60), დონი, ფლოკარი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ტალამონტი, მანფრედინი, პელისიერი
მსაჯი: ვალერი
6 000 მაყურებელი

**ტორინო 0:1 კალიარი**

0:1 აკვაფრესკა (85)
ტორინო: სერენი, დიანა, რუბინი, კოლომბო (როზინა 83), პრატალი, ნატალი (დი ლორეტო 67), ძანეტი, კორინი (ზემუელი 11), აბატე, ამორუზო, ბიანკი
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
კალიარი: მარკეტი, პიზანო, ბიანკო, დ. ლოპესი, აგოსტინი, ბიონდინი, ფინი, კონტი, კოსუ (ლაცარი 72), ჟედა, ლარივეი (აკვაფრესკა 60)
მწვრთნელი: მასიმილიანო ალეგრი
გაფრთხილება: ბიანკო, კონტი, პრატალი, ძანეტი, აკვაფრესკა
მსაჯი: ბანტი
12 000 მაყურებელი

**რომა 0:4 ინტერი**

0:1 0:2 იბრაჰიმოვიჩი (5, 47), 0:3 სტანკოვიჩი (54), 0:4 ობინა (56)
რომა: დონი, სისინიუ, ლორია, ჟუანი, რიისე, დე როსი, აკვილანი, ტადეი (ოკაკა ჩუკა 75), პეროტა (ბრიგი 78), ვუჩინიჩი, ტოტი (მენეზი 69)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი (დაკური 78), კამბიასო, მუნტარი, ობინა, იბრაჰიმოვიჩი (კრუსი 82), კვარეშმა (მანსინი 68)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ვუჩინიჩი, კივუ
მსაჯი: რიცოლი
50 000 მაყურებელი

**იტალიურმა** პრესამ კლაუდიო რანიერი ხორცის საკეპ მანქანაში გაატარა — შესაძლოა, სამშაბათს, ის „ბებერი ქალბატონის" თავკაცის თანამდებობას დაემშვიდობოს კიდეც. რატომ სამშაბათს? იმიტომ, რომ ამ დღეს „იუვენტუსი" „რეალს" მასპინძლობს. ეს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაა. შაბათს კი, იტალიის პირველობაზე, ტურინელებმა „ნაპოლისთან" წააგეს 1:2.

„გაუმართლებელი" — პირველ გვერდზე ერთი სიტყვით ასე შეაფასა „ტუტოსპორტმა" ის, რაც ნეაპოლის „სან პაოლოზე" მოხდა. „რანიერის ყველაფერი ცუდად აეწყო. „იუვენტუსი" კრიზისშია. ტაქტიკოსის ბოლო ხსნა „რეალი" გახლავთ" — დაწერა „ლა სტამპამ". ხოლო საკუთრივ ტურინში ფანების ერთ ჯგუფს არ დაეზარა და გუნდს გვიან ღამით აეროპორტში დახვდა. როგორც დახვდებოდა, იოლი წარმოსადგენია.

იცით, განსაკუთრებით რამ გააღიზიანა „იუვეს" ქომაგები? იმან, რომ რანიერიმ 1:1-ზე ალესანდრო დელ პიერო მცველით, პაოლო დე ჩელიეთი შეცვალა. ჰოდა, მიიღო კიდეც მეორე გოლი. მოგვიანებით რანიერიმ აღიარა, რომ ამ შეცვლით ფრის შენარჩუნებას აპირებდა — ანგარიში ამაურიმ გახსნა, ესეკიელ ლავეციმ კი გაქვითა და მოედანზე სწორედ ეს წონასწორობა იდგა.

თამაშის-მიმოხილვაში „ლა სტამპა" საერთოდ დაცინვაზე გადავიდა! „არა, შემადგენლობა რანიერის სწორად ჰქონდა შერჩეული, რადგან „იუვეს" იმდენი დაშავებული და დისკვალიფიცირებული ჰყავდა, რომ სხვა შემადგენლობის გამოყვანა შეუძლებელი იყო. პრობლემა სხვა გახლდათ და ძველთაძველი: ცვლილებები. რატომ გამოიყვანა დელ პიეროს ნაცვლად დე ჩელიე და არა სებასტიან ჯოვინკო პირდაპირ?"

თუმცა, კრიტიკის ქარცეცხლში მხოლოდ რანიერი არ ხვდება, რადგან იტალიელ ჟურნალისტებს არ ავიწყდებათ, რომ „იუვეს" კრიზისში" ბრალი კლუბის იმ ხელმძღვანელებსაც მიუძღვით, რომელთაც სატრანსფერო პოლიტიკა ებარათ, ოღონდ ეს ტურის „ცხელ-ცხელი" მიმოხილვის თემა აღარ არის.

„ჩვენ რთული პერიოდი გვიდგას, ოღონდ ეს კრიზისი არ არის — თქვა ნამატჩევს რანიერიმ — რას გადაწყვეტს კლუბის ხელმძღვანელობა, ვერ გეტყვით. ვიცი, რომ ყველაფერზე მშვიდი და საფუძვლიანი საუბარი გვჭირდება".

იმავე შაბათს „ფიორენტინამ" „რეჯინას" 3:0 მოუგო და ამ შეხვედრაში ალბერტო ჯილარდინოს გოლის გასატანად მოედანზე შესვლიდან სულ რაღაც ოთხი-ხუთი წუთი დასჭირდა. კიდევ რამდენიმე წუთში „ჯილამ" თავისი მეორე, ხოლო „იების" მესამე გოლი შეაგდო ამ მატჩში. რაც შეეხება პირველს, მისი ავტორი ჯამპაოლო პაცინი გახლდათ, რომელმაც მე-40 წუთზე პენალტი შეაგდო. ამ დროისთვის რეჯინელი ანდრეა კამპანიოლო მსაჯს უკვე გაძევებული ჰყავდა. მიზეზი: ბოლო იმედის ჯარიმა, რომლის გამოც სწორედ „ის" პენალტი დაინიშნა.

„ბოლონიამ" კი სენსაცია მოახდინა — სერია A-ს ლიდერ „ლაციოსთან" შეხვედრაში სულ რაღაც ნახევარი საათი ეყო სამბურთიანი უპირატესობის მოსაპოვებლად. შესაბამისად, მწვრთნელს, დანიელე არიგონის სამსახური აღარ აქვს საძებნელი. ისე, კაცმა რომ თქვას, არც „ბიანკოჩელესტეს" ლიდერობას ელოდა ვინმე, მაგრამ მეტოქესთან, რომელსაც ზედიზედ ხუთი თამაში ჰქონდა წაგებული, რომაელები, ბუნებრივია, გამარჯვებას და ლიდერობის კიდევ უფრო განმტკიცებას ელოდნენ.

სერჯო ვოლპიმ საჯარიმოდან ბურთი შორეულ კუთხეში ჩაახვია, რითაც სტუმრები, როგორც ჩანს, დაზაფრა. შემდეგ ორი გოლი მარკო დი ვაიომ გაიტანა, ტომაზო როკიმ კი მეორე ტაიმში უპასუხა ერთით, რომელიც ქულას არ იძლეოდა.

კახა კალაძის გარეშე მოთამაშე „მილანმა" კი ამასობაში 3:0 მოუგო „სამპდორიას". სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. ორი, მათგან პირველი — პენალტით, რონალდინიომ გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში გენუელებს უხეში თამაშისთვის (და არა მეორე გაფრთხილების გამო) მოედნიდან სტეფანო ლუკინი გაუძევეს.

„უდინეზემ" ლეჩეში ქულა გადაარჩინა.

გვიან მატჩს კი დედაქალაქის „სტადიო ოლიმპიკომ" უმასპინძლა და იტალიის მთავარ საფეხბურთო არენაზე შეკრებილმა ხალხმა ნამდვილი შოკი განიცადა. შარშან, 29 სექტემბერს, „რომასა" და „ინტერის" რომაული მატჩი 1:4 დასრულდა, ხოლო მასპინძელი გუნდის დამრიგებელ ლუჩანო სპალეტის სტადიონის დატოვება ტიფოზთა გამაყრუებელი სტვენის თანხლებით მოუხდა. აი, გუშინ კი ტრიბუნებზე ლუმილმა დაისადგურა. ხალხი შოკში იყო. ისევე, როგორც შარშან, ანგარიში ამ ჯერზეც ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გახსნა, მეორე ტაიმის დებიუტში მეორეც მიაყოლა, ხოლო მომდევნო 9 წუთში სტანკოვიჩმა და ობინამ თითოც წაამატეს. თამაში აქ მორჩა, არადა, ტრავმამოუშუშებელმა ფრანჩესკო ტოტიმ ყოველგვარ სიფრთხილეზე უარი თქვა და 69 წუთის განმავლობაში, რაც შეეძლო, ირბინა და იბრძოლა. აღმოჩნდა, რომ მოუმზადებელი ჩესკო „ინტერის" დარ მონსტრთან ნაკლებად ეფექტიანია — 0:4

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 6 | 4 | 1 | 1 | 14:7 | 13 |
| უდინეზე | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ინტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| პალერმო | 6 | 4 | 0 | 2 | 10:8 | 12 |
| ატალანტა | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| ნაპოლი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| კატანია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ფიორენტინა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| ჯენოა | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 9 |
| იუვენტუსი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| ლეჩე | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| სიენა | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| რომა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| ტორინო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |
| კიევო | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| სამპდორია | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8 | 4 |
| ბოლონია | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| რეჯინა | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |
| კალიარი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:10 | 1 |

**VIII ტური**
**26 ოქტომბერი**

სამპდორია — ბოლონია
კალიარი — კიევო
რეჯინა — ლეჩე
ატალანტა — მილანი
პალერმო — ფიორენტინა
რომა — ნაპოლი
უდინეზე — რომა
იუვენტუსი — ტორინო
სიენა — კატანია
ინტერი — ჯენოა

### სერია B
**IX ტური**

ანკონა — მოდენა 3:1; ფროზინონე — რიმინი 3:1; პიზა — ტრევიზო 2:1; გროსეტო — სალერნიტანა 6:2; სასუოლო — მანტოვა 1:2; აველინო — ბარი 2:1; ბრეშა — ტრიესტინა 3:2; პარმა — ემპოლი 1:0; ჩიტადელა — ლივორნო 0:0; ალბინოლეფე — ვიჩენცა 0:4. პიაჩენცა — ასკოლი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გროსეტო | 9 | 5 | 3 | 1 | 18:11 | 18 |
| ემპოლი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:6 | 18 |
| სასუოლო | 8 | 5 | 1 | 2 | 14:6 | 16 |
| ვიჩენცა | 9 | 4 | 3 | 2 | 12:4 | 15 |
| ტრიესტინა | 9 | 4 | 3 | 2 | 13:11 | 15 |
| სალერნიტანა | 9 | 4 | 2 | 3 | 9:11 | 14 |
| მანტოვა | 9 | 3 | 4 | 2 | 8:5 | 13 |
| ბარი | 8 | 3 | 4 | 1 | 7:5 | 13 |
| ბრეშა | 8 | 3 | 4 | 1 | 10:9 | 13 |
| ალბინოლეფე | 9 | 3 | 4 | 2 | 8:9 | 13 |
| ანკონა | 9 | 3 | 3 | 3 | 13:9 | 12 |
| ლივორნო | 9 | 2 | 6 | 1 | 12:8 | 12 |
| პიზა | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| პარმა | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 |
| ფროზინონე | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| ასკოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:6 | 9 |
| პიაჩენცა | 8 | 2 | 3 | 3 | 3:6 | 9 |
| ტრევიზო | 9 | 1 | 4 | 4 | 7:11 | 7 |
| ჩიტადელა | 9 | 1 | 3 | 5 | 2:8 | 6 |
| აველინო | 9 | 1 | 3 | 5 | 8:17 | 6 |
| მოდენა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |
| რიმინი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |

### სერია C1/A

ლეკო — რავენა 2:2; პრო პატრია — ნოვარა 0:1; რეჯანა — ვერონა 0:0; სამბენედეტეზე — პადოვა 1:0; სპალ — პორტოგრუარო 1:1; ვენეცია — ლუმეცანე 1:1; ლენიანო — მონცა 0:3; ჩეზენა — პრო სესტო 3:1

### სერია C1/B

კავეზე — სტაბია 3:1; ფოჯა — სორენტო 3:1; ფოლინიო — კროტონე 0:2; გალიპოლი — არეცო 2:2; პოტენცა — პისტოიეზე 2:0; ტარანტო — პაგანეზე 0:1; ტერნანა — პერუჯა 0:1; ლანჩანო — მარჩანიზე 3:0; ბენევენტო — პესკარა 2:2

# ხავიერ აგირე: როცა ვან ნისტელროი აგირევს



კლოს გომესმა ვან ნისტელროის ალალი გოლი არ ჩაუთვალა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### VII ტური

**ატლეტიკო 1:2 რეალი**

0:1 ვან ნისტელროი (1), 1:1 სიმაუ (90), 1:2 იგუაინი (903)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, უიფალუში, პერეინგა, ასუნსაუ, პერნია, პერეა, ბანეგა, მანიშე, რ. გარსია, ფორლანი, აგერო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
რეალი: კასილიასი, კანავარო, პეპე, მარსელუ, რამოსი, გაგო, სნეიდერი (ვან დერ ვაარტი 68), დე ლა რედი (გარსია 78), რაული (დრენტე 85), ვან ნისტელროი, იგუაინი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: პერეა, რ. გარსია, ასუნსაუ, პერეინგა, რამოსი, სიმაუ, გარსია
გაძევება: პერეა (30), ვან ნისტელროი (39)
მსაჯი: კლოს გომესი
57 500 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:0 ვილიარეალი**

ესპანიოლი: კამენი, სერხიო სანჩესი, ხარკე, პარეხა, ბერანჟე (ლაკრუსი 89), ურტადო, დე ლა პენია, ნენე, მარტინესი (ანხელი 80), ტამუდო, ლუის გარსია (კორო 73)
მწვრთნელი: ბარტოლომე მარკეს ლოპესი
ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, ბრუნო, სენა, პირესი, კანი (კასორლა 64), როსი (ფრანკო 73), იორენტე (ალტიდორი 80)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ბრუნო, ლუის გარსია, სენა, ურტადო, მარტინესი
მსაჯი: ფერნანდო ბორბალანი
16 350 მაყურებელი

**ბილბაო 0:1 ბარსელონა**

0:1 ეტოო (63)
ბილბაო: ირაისოსი, ამორებიეტა, ოსიო, ბელენსიაგა, ირაოლა, ორბაისი (გურპეგი 77), გარმენდია (სუსაეტა 63), ლიორენტე, იესტე, გაბილონდო (ველესი 76), ლოპესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბარსელონა: ვალდესი, პიკე, მარკესი (პუიოლი 66), აბიდალი, ალვესი, იაია ტურე, კეიტა (ბასკეტსი 32), სანჩესი, ანრი (გლები 80), ეტოო, ინიესტა
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
გაფრთხილება: ამორებიეტა, ორბაისი, ბელენსიაგა, მარკესი, ბუსკეტსი, ეტოო
მსაჯი: უნდიანო მალიენკო
40 000 მაყურებელი

**ვალენსია 4:0 ნუმანსია**

1:0 ვილია (4), 2:0 მატა (72), 3:0 ვისენტე (83), 4:0 ვილია (89)
ვალენსია: რენანი, ალექსისი, ალბიოლი, მორეტი, მიგელი, ფერნანდესი, ალბელდა (ედუ 77), მატა, ხოაკინი (პაბლო 81), ვილია, მორიენტესი (ვისენტე 63)
მწვრთნელი: უნაი ემერი
ნუმანსია: კოლინასი, ბორისი, პალასიოსი, დომინგო, ხუანრა, მორენო (მარიო 63), ბარკერო, ნაგორე, კამაჩო (ჩერბარია 78), დელ პინო, ბრიტი (ბარასა 78)
მწვრთნელი: სერხიო კრეშიჩი
მსაჯი: მეხია დავილა
7 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 1:1 უელვა**

0:1 რუბენი (45), 1:1 ვიქტორი (90)
ვალიადოლიდი: ასენიო, ბარახა, პრიეტო, მარკოსი, ლოპესი (კანობიო 58), რუბიო, დორადო, გონსალესი (აგირე 73), ლეონი, გოიტომი (დელგადო 46), ვიქტორი
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
უელვა: რიესო, არსო, მორისი, პოლი, ბუზონი, ვასკესი, ფუეგო, ტორნავაკა, სისი (კამუნიასი 60), რუბენი (კოლუნია 73), გერერო (მარტინი 81)
მწვრთნელი: ლუკას ალკასარი
გაფრთხილება: ვიქტორი, პოლი, ვასკესი
მსაჯი: აისა გამესი
15 225 მაყურებელი

**რასინგი 0:0 დეპორტივო**

რასინგი: ტონიო, სესარ ნავასი, გარაი, მარკანო, პინილიოსი (კოლსა 71), რაკენი, ლუქსენი, სერანო, ვალერა, ჯონათანი (მუნიტისი 57), ხუანიტო (ტშიტე 46)
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს მუნისი
დეპორტივო: არანსუბია, კოლოტო, ლოპო, კაშმირსკი, პაბლო, დე გუზმანი, მისტა (რიკი 59), როდრიგესი, ლაფიტა, ალვარესი (ვერდუ 80), სერხიო (ტომასი 60)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: პინილიოსი, სერანო, ლუქსენი, კაშმირსკი, პაბლო
გაძევება: ლუქსენი (88)
მსაჯი: პარადას რომერო
17 000 მაყურებელი

**მალაგა 2:1 ხეტაფე**

0:1 სოლდადო (10), 1:1 ბაპა (31), 2:1 დუდა (38)
მალაგა: არნაუ, რობსონი, როსარიო, კალეხა, გამესი, ანხელი, აპონო, ადრიანი (ფერნანდო 85), ბაპა (ლოლო 90), დუდა (ნაჩო 77), ელისეუ
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია ფლორესი
ხეტაფე: აბონდანსიერი, მარიო, დიასი, სელესტინი (პოლანსკი 57), ლიხტი, კორტესი, კასკერო, გრანერო (ური 69), მანუ, სოლდადო, ალბინი (კეპა 82)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: დუდა, ენისეუ, ადრიანი, კასკერო, დიასი, მანუ, ლიხტი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
19 000 მაყურებელი

**ბეტისი 3:0 მალიორკა**

1:0 დამია (2), 2:0 პავონე (43), 3:0 ემანა (84)
ბეტისი: კასტო, ხუანიტო, არსუ, ვეგა, ნელსონი, კაპი (მელი 50), აურელიო, პავონე (ედუ 76), ემანა, გარსია, დამია (ხუანმა 80)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩაპარო
მალიორკა: მოია, ნუნესი, ნავარო, კორალესი, ხოსემი, სანტანა, მარტი, კასტრო (კეიტა 65), ვარელა (არანგო 46), ვებო, ხურადო (სკალონი 74)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დამია, პავონე, ნავარო, მარტი, ხოსემი
მსაჯი: პერეს ლასა
22 000 მაყურებელი

**ხიხონი 2:1 ოსასუნა**

1:0 კარმელო (12), 1:1 ესკერო (15), 2:1 ბილიჩი (413)
ხიხონი: პიჩუ, ნერუ (ტორე 54), ხერარდი, კანელია, სასტრე, კამაჩო, მატაბუენა, ბილიჩი, კარმელო, ხიმენესი (მატეო 79), მორანი (მალდონალდო 67)
მწვრთნელი: მანუელ პრესიადო
ოსასუნა: რიკარდო, ფლანიო, როვერსიო, ოიერი, ასპილიკუეტა, პუნიალი, ნეკუნამი, ესკერო, ხუანფრანი (მონეო 46), პორტილიო, სოლა (დადუ 82)
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
გაფრთხილება: სასტრე, ხერარდი, ნერუ, კარმელო, მალდონალდო, ტორე, მატეო, პუნიალი, ასპილიკუეტა
გაძევება: როვერსიო (40)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო
22 962 მაყურებელი

**ალმერია 0:1 სევილია**

0:1 ადრიანო (51)
ალმერია: დიეგო ალვესი, ბრუნო, ჩიკო, პელიერანო, მანი, ხუანიტო, სორიანო (ნატალიო 63), ხუანმა (ური 66), ხულიო ალვარესი, კორონა (სოლარი 84), ნეგრედო
მწვრთნელი: გონსალო არკონადა
სევილია: პალოპი, კონკო, დავიდ პრიეტო, ესკუდე, ფერნანდო ნავასი, მარესკა (ფასიო 68), დუშერი, ხესუს ნავასი, რომარიკი, ადრიანო (არმენტეროსი 75), აკოსტა (ფერნანდო 89)
მწვრთნელი: მანოლო ხიმენესი
გაფრთხილება: ხესუს ნავასი, ნატალიო, რომარიკი, ფერნანდო
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
18 000 მაყურებელი

**რვა ყვითელი,** ორი წითელი ბარათი და გოლები მატჩის თავ-ბოლოში — მადრიდულ დერბიში იყო ყველაფერი, რაც ქალაქურ გარჩევას უხდება.

გუნდების კაპიტნებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ... რუუდ ვან ნისტელროიმ ანგარიში გახსნა.

საჯარიმოს ხაზთან კარისკენ ზურგით მდგარმა ჰოლანდიელმა ბურთი მიიღო, შებრუნდა და ლეო ფრანკოს ახლო კუთხეში მე-40 წამზე გაუტანა.

გასულ სეზონში რაულმა დერბიში 48-წამზე შეაგდო.

22-ე წუთზე მსაჯმა ვან ნისტელროის ალალი გოლი არ ჩაუთვალა, რადგან გვერდითმა თამაშგარე შეცდომით აღნიშნა.

რვა წუთის მერე მასპინძელი პერეა გააძევეს — სნეიდერს სახეში იდაყვი ჩაარტყა. ცოტა ხანში მას რუუდ ვან ნისტელროი დაეწია, რომელმაც მანიშე წააქცია.

ორივე კართან ბლომად მომენტი შეიქმნა, მაგრამ ბოლო წუთამდე გოლი აღარ გავიდა. ბოლოს კი სიმაუმ საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, მაგრამ მეექვსე დამატებულზე დრენტეს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გონსალო იგუაინმა გამოიყენა. არგენტინელმა წელიწადნახევრის წინაც გაიტანა „ვისენტე კალდერონზე“ და მაშინ „რეალს“ ქულა გადაურჩინა.

ხავიერ აგირე: „ვან ნისტელროის ადრეულმა გოლმა ჩემი გეგმა არია, მეორე კი მაშინ გაგვიტანეს, როცა უკვე ველარაფერს შევცვლიდით. ვფიქრობ, რომ ფრეს ვიმსახურებდით. „ბარსელონასთან“ მესამე წუთზე გავუშვით, აქ კი პირველივეზე. ეს რაღაც ალოგიკურად მეჩვენება, მაგრამ, ფაქტია. თავიდანვე გაშვებული გოლებით საქმეს ერთიორად ვირთულებთ და მერე მეტოქე გასაქანს აღარ გვაძლევს.

ბერნდ შუსტერი: „უკვე მერამდენედ, გუნდი ხასიათს ავლენს, ბოლომდე იბრძვის და ეს ძალიან სასიხარულოა“.

„ესპანიოლის“ მეგოლემ და კაპიტანმა რაულ ტამუდომ 70-ე წუთზე პენალტი დაარტყა და „ვილიარეალის“ დიეგო ლოპესმა აულო. „ყვითლები“ კვალავაც დაუმარცხებლები არიან და „ესპანიოლის“ მეკარე კარლოს კამენის ბოლო წუთებზე რომ არ ეყოჩაღა, ბარსელონიდან სამი ქულით დაბრუნდებოდნენ. კამერუნელმა ხუან კაპდევილას და რობერ პირესს არ გაატანინა.

პრიმერას ლიდერი „ვალენსია“ ფანტასტიკურ ფორმაშია და გუშინ „ნუმანსია“ იოლად დაამარცხა. „ლამურებმა“ ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგეს, მათ შორის ორი — უეფას თასზე. დავიდ ვილიამ დუბლი შეასრულა და რვა გოლით ჩემპიონატის ბომბარდირია. ვილიას გოლებს შორის თითო-თითო ხუან მატამ და ვისენტემ ჩაამატეს.

„ოსასუნას“ ახალი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო სადებიუტო მატჩში ხიხონიდან უქულოდ გაისტუმრეს.

უხეშობით გაჯერებულ თამაშში მსაჯმა მასპინძლების ექვსი ფეხბურთელი გააფრთხილა, სტუმრებს კი ყვითელი ოთხჯერ აჩვენა და პირველი ტაიმის ბოლოს როვერსიო გაუძევა. გოლები გაძევებამდე გავიდა. ხიხონელ კარმელოს გოლს სასტრემ ორ წუთში უპასუხა, ხოლო ბილიჩმა პენალტით „სპორტინგს“ მოაგებინა.

„ოსასუნა“ პრიმერაში კვლავაც ერთადერთი მოუგებელი გუნდია.

სეზონში პირველი გამარჯვებით გაიხარა „ბეტისმა“, რომელიც დამიამ პირველივე წუთზე დააწინაურა და „მალიორკა“ გონს ველარ მოვიდა. შესვენებამდე პავონემ მეორე მიაყოლა და კუნძულელ სტუმრებს მესამე გოლი ემანამ შეხვედრის ბოლოს დააწია.

„ხეტაფეს“ გასვლაზე არ წაევგო და მალაგაშიც სოლდადოს წყალობით იგებდა, მაგრამ საბოლოოდ ხელცარიელი დაბრუნდა, რაკი მალაგელმა ბაპამ და დუდამ პირველივე ტაიმში ორით უპასუხეს.

„ვალიადოლიდი“ „უელვას“ დაუზავდა და 18 მაისის მერე ფრე პირველად ითამაშა. უელველებს კი 14 სექტემბრის აქეთ არ მოუგიათ.

ტურის ქრონოლოგიურად ბოლო ორ მატჩში ერთნაირი ანგარიში დაფიქსირდა — 0:1. „ბარსელონამ“ ბილბაოში იმარჯვა, ხოლო „სევილიამ“ — ალმერიაში. შედეგად კი, ცხრილის თავში ერთი გადაადგილება მივიღეთ: ანდალუსიელები ქულებით „ვილიარეალს“ გაუთანაბრდნენ, ბურთების სხვაობით კი სულაც გაუსწრეს და მეორე საფეხურზეც აღზევდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 7 | 6 | 1 | 0 | 17:4 | 19 |
| სევილია | 7 | 5 | 2 | 0 | 13:4 | 17 |
| ვილიარეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 9:3 | 17 |
| ბარსელონა | 7 | 5 | 1 | 1 | 19:7 | 16 |
| რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 20:10 | 16 |
| ალმერია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| მალაგა | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| ატლეტიკო | 7 | 3 | 0 | 4 | 13:12 | 9 |
| ხეტაფე | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ესპანიოლი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | 9 |
| დეპორტივო | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | 9 |
| მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:10 | 8 |
| ვალიადოლიდი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:8 | 7 |
| რასინგი | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | 6 |
| ხიხონი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:21 | 6 |
| ბეტისი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:8 | 5 |
| ბილბაო | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| უელვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3:12 | 5 |
| ოსასუნა | 7 | 0 | 4 | 3 | 3:6 | 4 |
| ნუმანსია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:13 | 4 |

**VIII ტური**
**26 ოქტომბერი**

დეპორტივო — სპორტინგი
ვილიარეალი — ატლეტიკო
სევილია — მალაგა
ოსასუნა — ბეტისი
რეალი — ბილბაო
ხეტაფე — ვალიადოლიდი
ნუმანსია — რასინგი
მალიორკა — ესპანიოლი
ბარსელონა — ალმერია
უელვა — ვალენსია

### სეგუნდადივიზიონი
### VIII ტური

კასტელიონი — ლევანტე 4:1; სელტა — ალიკანტე 2:2; ალავესი — მურსია 4:1; ხერესი — ლას პალმასი 1:0; სევილია B — სარაგოსა 0:4; ტენერიფე — სალამანკა 2:3; ხირონა — სოსიედადი 0:0; ერკულესი — ელჩე 0:0; უესკა — ალბასეტე 1:2; ხიმნასტიკი — რაიო ვალეკანო 3:1; ეიბარი — კორდობა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბასეტე | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| ლევანტე | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 | 11 |
| ეიბარი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:10 | 11 |
| ხირონა | 8 | 2 | 4 | 2 | 7:6 | 10 |
| ლას პალმასი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:7 | 9 |
| კორდობა | 8 | 2 | 3 | 3 | 5:7 | 9 |
| სელტა | 8 | 1 | 4 | 3 | 5:9 | 7 |
| ალიკანტე | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | 6 |
| სევილია ი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:12 | 6 |
| მურსია | 8 | 1 | 2 | 5 | 4:11 | 5 |
| ელჩე | 8 | 0 | 3 | 5 | 5:13 | 3 |
| სალამანკა | 8 | 5 | 2 | 1 | 10:6 | 17 |
| სარაგოსა | 8 | 4 | 2 | 2 | 18:11 | 14 |
| ერკულესი | 8 | 3 | 5 | 0 | 10:4 | 14 |
| ხერესი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 14 |
| ტენერიფე | 8 | 4 | 1 | 3 | 17:14 | 13 |
| რაიო ვალეკანო | 8 | 3 | 4 | 1 | 13:11 | 13 |
| ხიმნასტიკი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:9 | 12 |
| კასტელიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| ალავესი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| უესკა | 8 | 2 | 5 | 1 | 12:9 | 11 |
| სოსიედადი | 8 | 2 | 5 | 1 | 7:5 | 11 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. IX ტური

**ბორდო 2:1 ტულუზი**

1:0 გურკუფი (29), 2:0 ბელიონი (40), 2:1 კაპუე (90)

**კაენი 2:2 გრენობლი**

0:1 აკრური (18), 1:1 სავიდანი (24), 2:1 ფლორანტენი (58), 2:2 მორეირა (74)

**მონაკო 1:2 ნიცა**

0:1 ბამოგო (9), 1:1 კუფრე (39პ), 1:2 ფაე (56)

**ნანტი 1:0 სენტ ეტიენი**

1:0 ბეკამენგა (27)

**პსჟ 3:2 ლორიანი**

0:1 საიფი (12), 1:1 პანკრატი (22), 1:2 აბრიელი (38), 2:2 ოარო (49), 3:2 არნო (87)

**სოშო 1:1 ლე ავრი**

0:1 ალასანი (44), 1:1 ბირსა (71)

**ლიონი 2:2 ლილი**

0:1 რამი (15), 1:1 შეჟუ (22ს.კ.), 1:2 ბასტოსი (62), 2:2 გროსო (76)

**ოსერი 0:0 რენი**

**ლე მანი 2:0 ნანსი**

1:0 ბერენგუერი (29ს.კ.), 2:0 ლამა (65)

**ვალანსიენი 1:3 მარსელი**

0:1 კონე (13), 0:2 ბენ არფა (72), 1:2 პუჟოლი (80), 1:3 კაბორი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 9 | 6 | 2 | 1 | 14:8 | 20 |
| მარსელი | 9 | 5 | 4 | 0 | 18:9 | 19 |
| ლე მანი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 17 |
| ბორდო | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| ტულუზი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:8 | 17 |
| ლილი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:11 | 15 |
| რენი | 9 | 3 | 5 | 1 | 11:7 | 14 |
| ნიცა | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 14 |
| პსჟ | 9 | 4 | 2 | 3 | 8:7 | 14 |
| გრენობლი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:8 | 14 |
| კაენი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:10 | 12 |
| ოსერი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| სენტ ეტიენი | 9 | 3 | 1 | 5 | 6:8 | 10 |
| ნანტი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:13 | 10 |
| მონაკო | 9 | 2 | 3 | 4 | 6:9 | 9 |
| ნანსი | 9 | 1 | 5 | 3 | 6:9 | 8 |
| ვალანსიენი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | 7 |
| ლორიანი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | 6 |
| სოშო | 9 | 0 | 5 | 4 | 9:13 | 5 |
| ლე ავრი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:13 | 5 |

## შვეიცარია

### თასი

ლოზანა — ქსამაქსი 1:2; სტ გალენი — აარაუ 2:0; ვოლენი — გრასჰოპერი 2:3; ივერდონი — შო დე ფონი 1:2; კონკორდია — სერვეტი 3:1; ბონგი — ვილი 0:3; სეეფელდი — გოსაუ 1:3; ზოფენგენი — ბელინცონა 2:3; ლოკარნო — ლუგანო 3:1; შოფენჰაუზენი — ციურიხი 0:1

### ჩელენჯლიგა. X ტური

ბიელი — ვინტერთური 2:0

## ირლანდია

### პრემიერლიგა

შემროკი — სტ. პატრიკსი 1:3; კობი — დაბლინი 2:0

### I დივიზიონი

ათლონე — მონაგანი 1:0

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXV ტური

ჰონკა — ტამპერე 3:4; როვანიემი — ვაასა 0:1; ჰაკა — ჰიკ 2:3; მიუპა — ინტერი 0:0; ლაჰტი — მარიეჰამნი 2:1; ტურკუ — კტპ 4:1; იარო — კუოპიო 3:2

### II ლიგა

ტპ47 — ვაასა 2:0; კაპა — ჰაამენლინა 1:2; პკ35 — გრანკულა 2:1; ჯიპო — ვიიკინგიტი 4:1; ტპვ ტამპერე — ატლანტისი 1:0; იუვასკილა — კემი 2:1; ოულუ — პპვ კოკოლა 3:4

## უელსი

### I ლიგა

დრუიდსი — ჰავერფორდვესტი 0:1; ქერსიუსი — ბანგორი 0:1; ტნს — ნითი 2:1; რილი — კარმათენი 3:0; პორტ ტალბორტი — კაერნაფონი 1:0; ნიუთაუნი — ლანელი 2:6

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. IX ტური

ინვერნესი — სელტიკი 1:2; კილმარნოკი — მოზერუელი 1:0; ფოლკირკი — აბერდინი 0:1; ჰამილტონი — სენტ მირენი 1:2; ჰიბერნიანი — ჰართსი 1:1. რეინჯერსი — დანდი იუნ. გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 9 | 7 | 1 | 1 | 23:11 | 22 |
| რეინჯერსი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:6 | 19 |
| კილმარნოკი | 9 | 5 | 1 | 3 | 10:9 | 16 |
| ჰიბერნიანი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| ჰართსი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:14 | 13 |
| დანდი იუნ. | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| სენტ მირენი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:9 | 11 |
| ინვერნესი | 9 | 3 | 1 | 5 | 11:11 | 10 |
| მოზერუელი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:15 | 10 |
| აბერდინი | 9 | 3 | 1 | 5 | 8:11 | 10 |
| ჰამილტონი | 9 | 3 | 0 | 6 | 9:16 | 9 |
| ფოლკირკი | 9 | 2 | 1 | 6 | 12:16 | 7 |

### I დივიზიონი

ერდრი — ქუინი 2:0; დანდი — როსი 1:2; დანფერმლაინი — პარტიკი 1:0; ლივინგსტონი — სტ. ჯონსტონი 0:1; მორტონი — კლაიდი 1:0

### II დივიზიონი

ალოა — არბროთი 2:1; პიტერჰედი — ისტ ფაიფი 0:1; რეითი — ეარი 3:2; სტირლინგი — ბრეჩინი 1:2; სტრანრარი — ქუინზ პარკი 0:0

### III დივიზიონი

ფორფარი — ალბიონი 0:0; ისტ სტირლინგი — ბერიკი 1:0; ანანი — კოუდენბითი 0:1; მონტროუზი — დამბარტონი 1:2; ელგინი — სტენჰაუზმური 4:2

## ბელგია

### იუპილერლიგა. VIII ტური

დენდერი — გენკი 2:4; მეხელენი — ვესტერლო 1:3; ლოკერენი — კორტრაიკი 2:0; ტუბიცე — გენტი 0:1; მუსკრონი — რუზელარე 2:0; ბეერსხოტი — შარლერუა 1:2; სტანდარდი — მონსი 2:1; ბრიუგე — სერკლი 3:1; ზულტე-ვარეგემი — ანდერლეხტი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:8 | 19 |
| ბრიუგე | 7 | 5 | 2 | 0 | 13:4 | 17 |
| ანდერლეხტი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:10 | 16 |
| მუსკრონი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:9 | 16 |
| გენკი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:10 | 16 |
| ვესტერლო | 8 | 4 | 2 | 2 | 9:9 | 14 |
| ლოკერენი | 8 | 3 | 4 | 1 | 10:5 | 13 |
| გენტი | 8 | 3 | 3 | 2 | 16:11 | 12 |
| კორტრაიკი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:12 | 11 |
| ზულტე-ვარეგემი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| სერკლი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:14 | 10 |
| შარლერუა | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| მეხელენი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| ბეერსხოტი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:8 | 7 |
| მონსი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | 7 |
| დენდერი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:17 | 5 |
| ტუბიცე | 8 | 1 | 1 | 6 | 5:14 | 4 |
| რუზელარე | 8 | 0 | 2 | 6 | 3:13 | 2 |

### II დივიზიონი

ბევერენი — ოსტენდე 0:0; ლომელი — ეუპენი 2:0; ლიერსი — დაინცე 3:0; სტ. ტრუიდენსი — ტურნაი 2:1; ვირტონი — ნამური 4:0; ბრიუხელი — ლიეჟი 3:1

## ჩრდ. ირლანდია

### I ლიგა

კრუზეიდერსი — დანგანონი 2:2; კოლრეინი — კლიფტონვილი 0:0; ბელიმენა — გლენტორანი 1:1; ნიური — ბანგორი 0:0; ლინფილდი — დისტილერი 0:2; ინსტიტუტი — გლენავონი 2:1

## რუსეთი

### პრემიერლიგა

შინიკი — რუბინი 0:2; სატურნი — სპარტაკი 0:0; ნალჩიკი — ზენიტი 2:2; ურალი — ტომსკი 0:0; ცსკა — ამკარი 4:1; ლოკომოტივი — ხიმკი 0:2; კრილია — მოსკოვი 1:1; ტერეკი — დინამო 0:0

## ჩილე

### აპერტურა

უნ. კატოლიკა — რეინჯერსი 2:0; უ. კონსეპსიონი — ნუბლენსე 1:1; სერენა — ჰიგინსი 1:3; მელიპილია — პალესტინო 0:2

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXVI ტური

აიკ — ნორჩიოპინგი 2:0; კალმარი — გიოტებორგი 0:1; გაის — მალმიო 2:2; ლიუნგსკილე — ჰალმსტადი 0:3. სუნდსვალი — გეფლე, ელფსბორგი — ტრელებორგი, იორგრიტე — ჰელსინგბორგი და ჰამარბი — იურგორდენი დღეს გაიმართება

### სუპერეტა

ატვიდაბერგი — ბრომაპოიკარნა 0:2; ფალკენბერგი — ჰეკენი 2:2; ბუნკეფლო — სირიუსი 1:1; დეგერფორსი — ენჩიოპინგი 4:0; მიალბიუ — ქვიდინგი 1:1; ლანდსკრონა — ასირისკა 0:3; იორგრიტე — ვესბი 3:0; ანგელჰოლმი — იონჩიოპინგი 6:0

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XIII ტური

აუსტრია — ლინცერი 5:0; კაპფენბერგი — რიდი 2:0; მატერსბურგი — შტურმი 5:1; ალტახი — ზალცბურგი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 13 | 8 | 4 | 1 | 21:10 | 28 |
| ზალცბურგი | 13 | 8 | 3 | 2 | 29:15 | 27 |
| შტურმი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:17 | 23 |
| ლინცერი | 13 | 7 | 0 | 6 | 20:23 | 21 |
| რაპიდი | 11 | 6 | 2 | 3 | 24:13 | 20 |
| რიდი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:14 | 18 |
| კერნტენი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:11 | 17 |
| მატერსბურგი | 13 | 3 | 1 | 9 | 16:31 | 10 |
| კაპფენბერგი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:26 | 9 |
| ალტახი | 13 | 2 | 0 | 11 | 13:34 | 6 |

### I დივიზიონი

ტიროლი — ნოიშტადი 1:1

### ალმ. რეგიონალლიგა

ვიენერბერგერი — თიმ ფიური 1:0; ადმირა (მ) — ვიურმლა 3:2

### დასავლეთ რეგიონალლიგა

ჰოპენენსი — ჰალი 4:0; ჰარდი — ბრეგენცი 2:2; ანიფი — კუპშტაინი 1:1; ზეეკირხენი — დორნბირნი 0:1; ვატენსი — ფელკირხი 3:0; შვაცი — ჰიოხსტი 5:1

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. X ტური

ბანიკი — ბოჰემიანსი 5:4; ოლკოვი — ბრნო 1:1; ტეპლიცე — ბოლესლავი 2:3; ბუდეიოვიცე — სიგმა 1:1; პრჟიბრამი — ზლინი 3:0; სლავია — კლადნო 5:0; პლზენი — სპარტა 1:1. ლიბერეცი — იაბლონეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 10 | 8 | 1 | 1 | 28:6 | 25 |
| ბოლესლავი | 10 | 7 | 2 | 1 | 17:9 | 23 |
| სპარტა | 10 | 5 | 3 | 2 | 14:10 | 18 |
| ბანიკი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 | 17 |
| ლიბერეცი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:10 | 17 |
| იაბლონეცი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:8 | 15 |
| ბრნო | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 15 |
| სიგმა | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| ტეპლიცე | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| პრჟიბრამი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:12 | 11 |
| ბოჰემიანსი | 10 | 3 | 1 | 6 | 15:21 | 10 |
| პლზენი | 10 | 1 | 6 | 3 | 12:16 | 9 |
| ბუდეიოვიცე | 10 | 1 | 6 | 3 | 6:15 | 9 |
| ზლინი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:13 | 8 |
| ქოქკოვი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:18 | 7 |
| კლადნო | 10 | 1 | 3 | 6 | 6:17 | 6 |

### II ლიგა

უსტი — სპარტა (ბ) 3:2; ოლომოუცი — ტრინეცი 1:1; კარვინა — ფულნეკი 2:1; სლოვაცკო — ბოჰემიანსი 0:2; ოპავა — სოკოლოვი 3:2

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XII ტური

სტრედა — ნიტრა 1:0; რუჟომბეროკი — კოშიცე 0:0; ზლატე მორავცე — ჟილინა 0:2; დუბნიცა — ტრნავა 0:1; ბანსკა ბისტრიცა — სლოვანი 2:3; ტატრანი — არტმედია 1:0

## ხორვატია

### NHL. XI ტური

ზაგრები — ზადარი 0:0; ოსიეკი — ინტერი 2:1; ვარტეკსი — რიეკა 3:3; სლავენი — სესვეტე 4:0; ჰაიდუკი — ციბალია 2:0; შიბენიკი — დინამო 2:2

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. VI ტური

დენ ჰააგი — ვოლენდამი 2:0; ტვენტე — ჰერაკლესი 2:0; ბრედა — პსვ 2:1; როდა — ჰერენვენი 2:2; აიაქსი — გრონინგენი 1:0; ნაიმეგენი — ვიტესი 3:1; ტილბურგი — ფეიენოორდი 1:0; გრააფსხაპი — ალკმაარი 0:2; სპარტა — უტრეხტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრედა | 6 | 5 | 0 | 1 | 16:9 | 15 |
| გრონინგენი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 13 |
| პსვ | 6 | 4 | 0 | 2 | 11:4 | 12 |
| ნაიმეგენი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| ჰერენვენი | 6 | 3 | 2 | 1 | 16:13 | 11 |
| ტვენტე | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| დენ ჰააგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| ალკმაარი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| აიაქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| ტილბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 10 |
| ჰერაკლესი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| უტრეხტი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 |
| სპარტა | 6 | 1 | 3 | 2 | 6:9 | 6 |
| გრააფსხაპი | 6 | 2 | 0 | 4 | 3:10 | 6 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:11 | 4 |
| როდა | 6 | 0 | 3 | 3 | 5:11 | 3 |
| ვიტესი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:14 | 2 |
| ვოლენდამი | 6 | 0 | 0 | 6 | 5:17 | 0 |

## დანია

### სუპერლიგა. X ტური

ოლბორგი — ნორდსიელანდი 1:2; ჰორსენსი — კოპენჰაგენი 0:1; რანდერსი — ვაილე 1:1; ოდენსე — ესბიერგი 4:2; სიონდერისკე — ბრონდბიუ 2:2. მიდტიულანდი — ორჰუსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდენსე | 10 | 8 | 0 | 2 | 22:12 | 24 |
| კოპენჰაგენი | 10 | 7 | 2 | 1 | 16:5 | 23 |
| ბრონდბიუ | 10 | 6 | 2 | 2 | 12:9 | 20 |
| მიდტიულანდი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:8 | 18 |
| რანდერსი | 10 | 2 | 6 | 2 | 12:9 | 12 |
| ორჰუსი | 9 | 4 | 0 | 5 | 11:14 | 12 |
| ნორდსიელანდი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| ვაილე | 10 | 2 | 4 | 4 | 9:14 | 10 |
| ჰორსენსი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:11 | 9 |
| სიონდერისკე | 10 | 2 | 3 | 5 | 9:14 | 9 |
| ოლბორგი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ესბიერგი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:15 | 6 |

### I დივიზიონი

სკივე — სილკებორგი 2:6; ფრემი — ჰვიდოვრე 2:1; ტისტედი — ფრედერისია 2:4; ვიბორგი — როსკილდე 0:2; ჰერფოლგე — აკადემისკი 2:0; ნესტვედი — ამაგერი 2:2; კოლდინგი — კოგე 0:0; ლიუნგბიუ — ლოლანდი 3:0

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. VI ტური

ირაკლისი — ერგოტელისი 0:0; პანსერაიკოსი — ტრიპოლისი 0:0; პანიონიოსი — არისი 2:1; ოფი — ფილისი 1:3; ლევადიაკოსი — ქსანთი 0:0; აეკ — ლარისა 1:1; ოლიმპიაკოსი — პანთრაკიკოსი 2:0; პაოკ — პანათინაიკოსი 0:0

## სლოვენია

### I ლიგა. XIII ტური

პრიმორიე — დრავა 0:0; ნოვა გორიცა — დრავა 1:0; ცელიე — ნაფტა 2:1; კოპერი — პრიმორიე 1:1; ლიუბლიანა — რუდარი 2:1; მარიბორი — დომჟალე 3:0

## იაპონია

### I ლიგა

ოსაკა — ივატა 2:1; ოიტა — ტოკიო 1:0; კაშიმა — კიოტო 2:1; ურავა — კობე 0:1; ჩიბა — ნიიგატა 0:0; ვერდი — ომია 1:0; შიმიცუ — კავასაკი 2:0; საპორო — კაშივა 0:2; იოკოჰამა — ნაგოია 0:0

## მექსიკა

### კლაუსურა

ტეკოსი — სან ლუისი 5:2; ინდიოსი — ამერიკა 0:0; გუადალახარა — ატლანტე 1:0; ნეკასა — ატლასი 0:1; კრუს ასული — მორელია 0:2; მონტერეი — ტიგრესი 1:4; პუებლა — პუმასი 0:0; ტოლუკა — პაჩუკა 3:0. სანტოსი — იაგუარესი წუხელ გვიან დამთავრდა

## თურქეთი

### სუპერლიგა. VII ტური

ისთანბული — ანთალია 2:1; ბეშიქთაში — დენიზლი 1:0; ბურსა — ესქიშეჰირი 1:2; ქოჯაელი — ფენერბაჰჩე 2:3; გაზიანთეფი — ქონია 0:1; სივა — ანკარაგიუჯიუ 3:0; ქაისერი — ანკარა 1:2; გენჩლერი — ბუიუქშეჰირი 1:3; გალათასარაი — ტრაბზონი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 17 |
| ტრაბზონი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:8 | 16 |
| ბურსა | 7 | 5 | 0 | 2 | 12:9 | 15 |
| გალათასარაი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:6 | 14 |
| სივა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| ანკარა | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| გაზიანთეფი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 13 |
| ქაისერი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 11 |
| ქონია | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | 10 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 3 | 0 | 4 | 11:11 | 9 |
| ესქიშეჰირი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| გენჩლერი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 |
| დენიზლი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| ჰაჩეტეპე | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ისთანბული | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბუიუქშეჰირი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:5 | 3 |
| ანთალია | 7 | 0 | 1 | 6 | 9:17 | 1 |
| ქოჯაელი | 7 | 0 | 1 | 6 | 7:16 | 1 |

## პოლონეთი

### I ლიგა. IX ტური

ოდრა — იაგელონია 1:1; პოლონია — კრაკოვია 1:1; ბიტომი — ბელხატუვი 1:2; სლასკი — არკა 2:1; ლოძი — ლეგია 0:0; ვისლა — პიასტი 2:0; გდანსკი — გურნიკი 1:0; რუხი — ლეხი 2:0

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXIV ტური

ტრომსიო — მიოლდე 4:4; რუსენბორგი — სტრიომსგოდსეტი 1:1; ალესუნდი — ბოდიო გლიმტი 1:0; ფრედრიკსტადი — ვიკინგი 1:0; ჰამ კამი — ლინი 3:2; ბრანი — სტაბეკი 1:2. ვოლერენგა — ლილესტრიომი დღეს გაიმართება

### I დივიზიონი

სტარტი — სოგნდალი 1:1; ნიბერგსუნდი — მოსი 0:5; ჰაუგესუნდი — კონგსვინგერი 0:1; ჰოდი — ჰიონეფოსი 0:1; სანდეფიორდი — ნოტოდენი 1:0; ბრინი — სანდნესი 4:0; სარპსბორგი — ალტა 2:3; ლიონ ჰამი — ოდ გრენლანდი 2:3

## უკრაინა

### ვიშალიგა

ვორსკლა — მეტალურგი (ზ) 1:1; ტავრია — კარპატი 1:4; დნიპრო — მეტალურგი (დ) 1:1; მეტალისტი — არსენალი 1:1; ილიჩევეცი — ჩერნომორეცი 1:0; ლვოვი — ხარკოვი 1:0; შახტარი — კრივბასი 4:2; დინამო — ზარია 5:0

## არგენტინა

### კლაუსურა

კოლონი — ინდეპენდიენტე 1:2; არხენტინოსი — ურაკანი 2:0; ესტუდიანტესი — ხიმნასია (ჟ) 2:0; არსენალი —ველესი 3:3; სან ლორენსო — სან მარტინი 1:0; ბანფილდი — რასინგი 1:0; ტიგრე — ლანუსი 3:0; რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 0:1. გოდოი — ნიუელზი და როსარიო — ხიმნასია ლპ წუხელ გვიან დამთავრდა

## ბრაზილია

### სერია A

პალმეირასი — სან პაულუ 2:2; კურიტიბა — გოიასი 1:1; ბოტაფოგო — სანტოსი 0:1; ინტერნასიონალი — ატლეტიკო პრ 2:1; ფიგეირენსე — იპატინგა 1:1; ვიტორია — ფლუმინენსე 2:2; ატლეტიკო მგ — კრუზეირო 0:2. ვასკუ და გამა — ფლამენგო, პორტუგეზა — გრემიო და სპორტ რესიფე — ნაუტიკო წუხელ გვიან დამთავრდა

## აშშ

### მეიჯორლიგა

ტორონტო — ჩიკაგო 3:2; კანზასი — სან ხოსე 3:2; სოლტ ლეიკი — დალასი 3:1; ნიუ იორკი — კოლამბუსი 3:1; ჩივასი — კოლორადო 1:2; ჰიუსტონი — ლოს ანჯელესი 3:0


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge